ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 24 აპრილი, 2019 | №96 (8050) | ფასი: 60 თეთრი

ლევან ჯიბღაშვილს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს

ის 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს


გვ.7

23 აპრილიდან

კარლო კოლოდი

პინოკიოს თავგადასავალი

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

„ბიძინა საქართველოს ოკუპაციისთვის ამზადებს“

„ოცნებამ“ პანკისში გასვლითი 7 ნოემბერი მოაწყო“

გვ.2

ლაშა ჩხარტიშვილი: „ქვეყნის მტერი ის არის, ვინც საქართველოს პირადი კეთილდღეობის მიზნით ტბორავს და აუდაბნოებს“

ლევან საბეიშვილი: „კალაძე ივანიშვილს უთვალთვალებს“

გვ.2



რისთვის ყიდულობს თბილისის მერი მეკობრეების ჭოგრიტებს

გვ.4

გია ხუხაშვილი: „ხელისუფლება რევოლუციურ სიტუაციას თვითონ აწყობს“

„ვეჭვობ, პანკისის მოვლენები გახარიას წინააღმდეგ შიდასახელისუფლებო ინტრიგებია. მრავალ პერიპეტიას ვიხილავთ“

რამაზ საყვარელიძე: „რეალური მესამე ძალა „ოცნებასაც“ მოუგებს და ნაციონალებსაც“

გვ.3

გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „ზელენსკისთვის სააკაშვილის მიწვევა მომგებიანი იქნება“

სამართალი გვ.7

გევორქ სარქისიანის მკვლელობაში ბრალდებულებს 17 და 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ

ჟურნალისტ ზაზა სვანაძეს სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა

„მის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრება“

აფგან მუხთარლის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა

ეკონომიკა გვ.6

ივანე მაჭავარიანი საპენსიო რეფორმაზე: „ეს სამუშაო ადგილებს პირველივე წლიდან გაზრდის“

წყალმომარაგების კომპანიის თანამშრომლებზე 1.700.000 ლარის პრემია-დანამატი გაიცა

„ომეგას“ დირექტორი: „კომპანიას ძირს უთხრიან ივანიშვილის მითითებით“

ISSN 1987-9385

5 ვახტანგ მაისაია: „პანკისში რაც მოხდა, ტერორიზმთან კავშირში არ არის“

5 თეა გოდოლაძე: „ყველა ჰესის პროექტი გადასახედია“

4 ქართული წყალი უცხოეთში სულ უფრო მოთხოვნადი ხდება

6 ერთ თვეში სასტუმროების ფასების ინდექსი 5.1%-ით გაიზარდა

2019, 24 აპრილი, №96

„ბიძინა საქართველოს ოკუპაციისთვის ამზადებს“

„ოცნებამ“ პანკისში გასვლითი 7 ნოემბერი მოაწყო“

შორენა მარსაგიშვილი

ლაშა ჩხარტიშვილი: „ქვეყნის მტერი ის არის, ვინც საქართველოს პირადი კეთილდღეობის მიზნით ტბორავს და აუდაბნოებს“

რას გადაურჩა საქართველო, ვინ არის ქვეყნის მტერი, რატომ ხდება საზღვრისპირა რეგიონების დაცლა, რა გეგმა აქვს ივანიშვილს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ეკოლოგი, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ლაშა ჩხარტიშვილი** ესაუბრება.

– კახა კალაძემ განაცხადა, ვინც ჰესებს ეწინააღმდეგება, იგი ქვეყნისა მტერია, რადგან ამით ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას ეწინააღმდეგებიანო. უხერხული არ არის, ამას ის კაცი რომ ამბობს, რომელმაც გაზპრომთან საიდუმლო შეთანხმება გააფორმა და მართლა შეუქმნა საფრთხე ენერგოდამოუკიდებლობას?

– ქვეყნის მტერი ის არის, ვინც საქართველოს პირადი კეთილდღეობის მიზნით ტბორავს და აუდაბნოებს. ქვეყნის მტრები არიან კახა კალაძე და ბიძინა ივანიშვილი, რომლებიც ცდილობენ, მოსახლეობა დაარწმუნონ, რომ ჰესები არის ხსნა.

კახა კალაძე არის ადამიანი, რომელმაც გაზპრომთან საიდუმლო შეთანხმება გააფორმა. ამ ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობაზე არ უნდა საუბრობდეს.

ჰესების გაპიარება არის ჩამორჩენილობა და რუსული ოკუპაციის წინაპირობა. 21-ე საუკუნეში, ევროპული სახელმწიფოები ჰესებს კი არ აშენებენ, არამედ უკვე აშენებული ჰესების დემონტაჟს ახორციელებენ. ყველა აღიარებს, რომ ჰესები არის მოძველებული ტექნოლოგია, რომელიც ანადგურებს ბუნებას, კულტურულ მემკვიდრეობას, ადამიანებს. ჰესების მშენებლობა კუთხეებისა და სოფლების დაცვას იწვევს.

თანამედროვე პირობებში ვითარდება მზის ენერგეტიკა. აქტიურად იყენებენ ქარის ენერგიასაც. მწვანე ენერგეტიკას გარემოსთვის ზიანი არ მოაქვს. ამ მწვანე ენერგეტიკით საქართველო ძალიან მდიდარია.

ორი სიტყვით შევახსენეთ თქვენს მკითხველს, თუ რა ზიანი მოაქვს ჰესებს. ჰესები ორ კატეგორიად იყოფა.

ერთი არის დატბორვითი, სადაც პირდაპირ ვკარგავთ ტერიტორიებს – ისინი წყალქვეშ აღმოჩნდებიან.

ამის გარდა, ხდება ნიადაგის დამძიმება-დანესტიანება, რაც იწვევს ზვავებს, ღვარცოფებს. ეს ადამიანებს ფიზიკურად ანადგურებს.

მეორე სახის ჰესები გარემოს გაუწყლოება-გაუდაბნოებას იწვევს. სოფლებისა და კუთხეების უწყლოდ დატოვება რომ მათ დაცლას გამოიწვევს, ეს ადამიანებს სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში უნდა ჰქონდეთ წაკითხული.

სკოლის სახელმძღვანელოებში ისიც პირდაპირ წერია, რომ სადაც არ არის მდინარე და წყალი, იქ არ არის სიცოცხლე. წიგნებში ისიც წერია, რომ ზოგადად ყველა კულტურა მდინარეების პირას ვითარდებოდა.

კალაძე რომ წიგნებთან მწყრალად არის, ეს გასაგებია, მაგრამ იმდენი მაინც უნდა იცოდეს, რომ წყალი აუცილებელია.

თუ ასე გაგრძელდა, ტურიზმიც მოკვდება. მასობრივი ჰესომანია საქართველოს გაანადგურებს და ტურისტებს აქ სანახავი არაფერი დახვდებათ.

და თუ ასე ძალიან უნდათ ჰესები, მაშინ უკვე აშენებული ჰესებისა და კაშხლების რეაბილიტაცია-გაწმენდა მოახდინონ. ამ ჰესებსა და კაშხლებს თუ ავამუშავებთ, 2,5-ჯერ მეტ ენერგიას მივიღებთ, ვიდრე ხუდონჰესსმა უნდა მოგვცეს.

– საინტერესოა, რატომ არ ხდება უკვე აშენებული ჰესებისა და კაშხლების რეაბილიტაცია?

– იმიტომ, რომ ამით კალაძე და ივანიშვილი დამატებით შემოსავლებს ვერ მიიღებენ. ამიტომაც აშენებენ ახალ ჰესებს და ანადგურებენ საქართველოს.

აქვე მინდა შევეხო ენერგოეფექტურობას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, არადა, ხელისუფლება არაფერს აკეთებს ამ მიმართულებით, ევროკავშირი კი ამას გვავალდებულებს. ენერგოეფექტურობა ნიშნავს ისეთი სამშენებლო მასალების გამოყენებას, რომელიც ენერგიის მოხმარებას ამცირებს. ამით ხდება ზრუნვა ბუნებასა და სახელმწიფოზე.

ენერგოეფექტურობა ხელისუფლების ინტერესებში არ შედის. მას ახალი ჰესები და აოხრებული საქართველო უნდა. ახალი ჰესებით აპირებენ ელექტროენერგიის წარმოებას, რომელიც ასევე ძვირად უნდა მოგვყიდონ ჩვენ.

– თქვენ ამბობთ, რომ ჰესებს კუთხეებისა და სოფლების დაცლა მოჰყვება. საოცნებო ხელისუფლება ჰესებს ძირითადად საზღვრისპირა რეგიონებში აშენებს. ეს შემთხვევითია?

– არ არის შემთხვევითი. საზღვრისპირა რეგიონებში ჰესების აშენება რუსული ოკუპაციის რისკებს ზრდის. გარდა იმისა, რომ ამ ჰესებით ივანიშვილი კალაძესთან და მამაშვილ ქუცნაშვილებთან ერთად დიდ შემოსავალს ნახავს, რუსეთს მცოცავ ოკუპაციაშიც შეუწყობს ხელს.

ჰესები შენდება ძირითადად მთიან რეგიონებში. მთა არის ბუნებრივი საზღვარი, რომელიც გვიცავს აგრესიული მეზობლისგან. იქ ჰესების მშენებლობა ამ კუთხეების დაცლას ნიშნავს. უპატრონო ეკლესია კი, როგორც ქართული ანდაზა ამბობს, ეშმაკების საკუთრება ხდება.

ამ შემთხვევაში პოლიტიკურ ეშმაკად გვევლინება რუსეთი, რომლის ემისარი და მონა არის ივანიშვილი.

აქამდე თუ ამასთან დაკავშირებით კიდევ რაღაც ეჭვები მქონდა, პანკისში განვითარებულმა მოვლენებმა დამარწმუნა, რომ „ოცნების“ ლიდერი მოსკოვის დავალებებს ასრულებს.

ეტყობა, კრემლში გადაწყვიტეს, რომ ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივებით მოახდინონ პანკისის ოკუპაცია. ამაში მას „ოცნების“ ხელისუფლება ხელს უწყობს. აი, ეს არის ქვეყნის ღალატი.

– 21 აპრილს პანკისში ქართული სახელმწიფო გადარჩა, მაგრამ გავიარეთ საფრთხე? ამბობენ, რომ ხეობაში დაჭერების სერიები იწყება. მოსახლეობა ამბობს, რომ ამას არ დაუშვებს. ამას ხომ არ მოჰყვება ვითარების გამწვავება?

– ივანიშვილმა თურნავასა და გახარიას ხელით პანკისში გასვლითი 7 ნოემბერი მოაწყო. გასვლით 7 ნოემბერს ჰქონდა ორი მიზანი. პირველი – ქისტების დასჯით უნდოდათ, სხვა კუთხეებისთვის ეჩვენებინათ, რომ თუ ვინმე გაბედავს ჰესების წინააღმდეგ წასვლას, მათაც ასევე გადაუვლიან.

მადლობა მინდა გადავუხადო ქისტებს იმისთვის, რომ მათ იმ დღეს კარგად გაარჩიეს, თუ სად დგას ხელისუფლება და სად – სახელმწიფო. მათი მხრიდან არც ერთი ანტისახელმწიფოებრივი განცხადება არ გაკეთებულა.

მადლობა მინდა ვუთხრა იმისთვისაც, რომ მათ დანარჩენი საქართველოსთვისაც იბრძოლეს. მათ ყველას დაანახეს, რომ ხალხს შეუძლია, ხელისუფლებას უკან დაახევინოს.

რაც შეეხება დაჭერებს, ეს თუ დაიწყო, მაშინ ნათლად გამოჩნდება, რომ „ოცნება“ ღიად ასრულებს რუსულ დავალებას და საქართველოს ოკუპაციისთვის ამზადებს.

პანკისში რამე თუ მოხდა, ამაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ივანიშვილს და მის ყურმოჭრილ მონა გახარიას. იმედია, ისინი ამაზე არ წავლენ.

– თუ გაბედეს და წავიდნენ, მერე რა ხდება?

– მერე ის ხდება, რომ საზოგადოება მკაცრად მოსთხოვს ამ ხელისუფლებას პასუხს.

– ხელისუფლება ძალიან მძიმე დღეშია. მისი რეიტინგი ეცემა და ეცემა. ასეთ დროს რატომ დგამენ ასეთ სულელურ ნაბიჯებს, აგონიაში არიან თუ სხვა რამე სჭირთ?

– ხელისუფლებას სავარაუდო პოლიციური რეჟიმის დამყარების მცდელობა ჰქონდა, რაც არ გაუვიდა. საქართველო არ შეეგუება პოლიციურ დიქტატურას.

ასრულებენ თუ არა რუსეთის დავალებას, ეს უახლოეს მომავალში გაირკვევა. პანკისში აქციის მონაწილეები თუ დააკავეს, ჩათვალეთ, რომ რუსული გეგმის განხორციელება დაიწყო.

– რატომ ფიქრობთ, რომ ამით რუსეთის გეგმის განხორციელება დაიწყება? პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა ხომ დანაშაულია. ამ ადამიანებმა კი პოლიციას გაუწიეს წინააღმდეგობა.

– ეს ადამიანები არიან ამ რეჟიმის მსხვერპლი. ისინი ხელისუფლების უკანონობას აღუდგნენ წინ. უკანონობა და დანაშაული ხეობაში სპეცრაზმის შეყვანა იყო. ამის გამო გახარია და თურნავა, სულ მცირე, უნდა გადადგნენ. ამ დღეებში მათ წინააღმდეგ პროკურატურაში შევიტან განცხადებას.

ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, დაიცვას თავი და არა აქვს მნიშვნელობა იმას, შენ პოლიციელის უკანონო ქმედებისგან იცავ თავს თუ ჩვეულებრივი მოქალაქისგან.

ხელისუფლებას აუცილებლად უნდა მოვთხოვოთ პასუხი რელიგიური და ეთნიკური შუღლის გაღვივებისთვის.

– იმედი გაქვთ, რომ საგამოძიებო უწყება გახარიასა და თურნავას წინააღმდეგ წავა?

– ეს პროკურატურა ამაზე არ წავა. საგამოძიებო უწყება არის ივანიშვილის ნების აღმსრულებელი. ამის მიუხედავად, განცხადების შეტანას მაინც აქვს აზრი. ადრე თუ გვიან საქართველოში სამართლიანი ხელისუფლება მოვა და მაშინ მართლა მოუწევთ ამათ პასუხისგება.

7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევების მონაწილეებისთვის რომ სათანადო პასუხი მოეთხოვათ, პანკისში ის არ მოხდებოდა, რაც მოხდა.

ჩვენ ვაფრთხილებთ ივანიშვილსა და მისი ხელის ბიჭსა და გოგოს, გახარიასა და თურნავას, ხელი არავის დააკარონ პანკისში, თორემ ამაზე სათანადო პასუხს მიიღებენ.

ხალხს თავი დაანებონ და დამნაშავეები ხელისუფლებაში ეძებონ.

ლევან ხაბეიშვილი: „კალაძე ივანიშვილს უთვალთვალებს“

რისთვის ყიდულობს თბილისის მერი მეკობრეების ჭოგრიტებს

შორენა მარსაგიშვილი

დედაქალაქის მერია ერის გაოცებას აგრძელებს. საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატმა ლევან ხაბეიშვილმა გაასაჯაროვა სატენდერო დოკუმენტაცია, საიდანაც ვიგებთ, რომ კახა კალაძე 10 ცალი ჭოგრიტისა და 15 ცალი ფოტოაპარატის შეძენას აპირებს. ამისთვის კი ის მზად არის, ბიუჯეტიდან 60.000 ლარი დახარჯოს.

როგორც ოპოზიციონერი ამბობს, სატენდერო დოკუმენტაციაში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რაში სჭირდება მერიას ჭოგრიტები და ფოტოაპარატები.

რატომ არის დაუშვებელი ამ ნივთებში ამდენი თანხის გადახდა, რაში შეიძლება გამოიყენოს კალაძემ ჭოგრიტები? – ამის შესახებ **ლევან ხაბეიშვილი** „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– თბილისის მერიამ დავით ნარმანიას მერობის დროს რამდენიმე ფოტოაპარატი შეიძინა. ახლა თქვენ გაასაჯაროეთ დოკუმენტი, საიდანაც ვიგებთ, რომ კალაძე ახალი ფოტოაპარატების შეძენას აპირებს. დედაქალაქის მერია ფოტოაპარატების გარეშე ვერ მუშაობს თუ რა ხდება?

– ფოტოაპარატებს რა უჭირს, სურათს მაინც გადაიღებენ, მაგრამ ჭოგრიტები რად უნდათ, ამაზე ვერაფერს გეტყვით. გვეტყვიან, რომ ჭოგრიტები მუნიციპალურ ლაბორატორიას სჭირდება. დავიჯერო, ამ ჭოგრიტებით უნდა ადევნონ თვალი, მშენებლობებზე რა ხდება? ჭოგრიტის გარეშეც კარგად ჩანს, რომ ძალიან ბევრ სამშენებლო ობიექტზე უსაფრთხოების ზომები დაცული არ არის და მუშები დამცავი ბადეების გარეშე სპაიდერმენებივით გადაადგილდებიან.

კი მეცინება ამ ჭოგრიტებზე, მაგრამ არ არის სასაცილო. ბოლო-ბოლო, პრიორიტეტები ხომ უნდა იყოს ამ ქალაქში განსაზღვრული. წინაზე იყო და თაიგულები იყიდა ბიუჯეტის ფულით, ახლა ჭოგრიტებს ყიდულობს, მერე რესტორნებში დახარჯავს ათეულობით ათას ლარს და ამას იმ ქალაქის მერი აკეთებს, რომელ ქალაქშიც უამრავი პრობლემაა. გამგეობებში ადამიანების წამლების შესაძენად 100 და 200 ლარს არ აძლევენ, ეუბნებიან, რომ ბიუჯეტში ფული არ არის. ამ დროს ერთ ჭოგრიტში იხდის მერია 1.500 ლარს.

– რა ჭოგრიტია ასეთი, რომ 1.500 ლარი ღირს?

– მთლად 1.500 ლარიც არ ღირს. სულ რაღაც 1.499 ლარს იხდიან ერთ ცალში. სულ 10 ცალი ასეთი ჭოგრიტი უნდა იყიდონ.

– უყვარს კალაძეს „მილანის“ მატჩებზე სიარული და იქნებ იმ იმედით ყიდულობს ამ ჭოგრიტებს, მათი დახმარებით „სან სირო“ დავინახო აქედან და მილანში აღარ მომიწიოს გაფრენაო. დროსა და ფინანსებს ზოგავს ალბათ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რამაზ საყვარელიძე: „რეალური მესამე ძალა „ოცნებასაც“ მოუგებს და ნაციონალებსაც“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, უკრაინაში საკმაოდ მაღალი პროცენტით გაიმარჯვა კომიკოსმა ზელენსკიმ. ცოტა ხნის წინ ასეთივე არასისტემური პოლიტიკიდან მოსულმა პაშინიანმა სომხეთში. რატომ ამბობს უარს ამომრჩეველი ტრადიციულ პოლიტიკოსზე?

– ამის მაგალითები არის ევროპაშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ტრამპი რომელი სისტემური პოლიტიკოსია?! ტრამპის გამარჯვებას თავის დროზე ელოდა ვინმე?! ამომრჩეველი ყველგან ერთნაირია. მე არ განვასხვავებდი სომეხ ამომრჩეველსა და ამერიკელ ამომრჩეველს. ადამიანს უკეთესი მომავალი უნდა, უკეთესი ცხოვრება უნდა. დიახ, ამომრჩეველი სისტემურ პოლიტიკოსზე უარს ამბობს და ეძებს სიახლეს. რამდენად გაამართლებს ეს ექსპერიმენტი, ამას დრო გვიჩვენებს.

აქ მაინც მნიშვნელოვანი არის ამომრჩევლის გულაცრუება. ამომრჩეველს მობეზრდა პოლიტიკური ელიტა და იმის მიღმა ეძებს. თუმცა, ეს ახალი ფიგურები, თავის მხრივ, რაღაც სისტემის ნაყოფები არიან ან ხშირ შემთხვევაში მათ უკან დგანან სისტემები. მაგალითად, ზელენსკის უკან დგას უკრაინელი მილიარდერი კოლომოისკი, რომლის არხზეც ითამაშა მან პრეზიდენტი და შემდეგ გახდა კიდეც პრეზიდენტი. მართლაც საოცარი შემთხვევაა.

– რას იზამს ზელენსკი, რომელსაც არავითარი პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს?

– მოლოდინები ძალიან დიდია. 73%-ით გაიმარჯვა, ამაზე მეტი მოლოდინი რა გინდა, ამ ხალხს თუ იმედები გაუცრუვდა, მერე უკვე ძალიან ცუდი იქნება, რაც ჩვენთან არაერთხელ ყოფილა. იმედგაცრუებულ ამომრჩეველზე საშიში არაფერია.

რა ხდება უკრაინაში გასაგებია, ყველამ იცის. ვერ გეტყვით, რას იზამს, ძალიან რთული სათქმელია. იქნებ მისი მიდგომა უკეთესი იყოს, ვიდრე პოროშენკოსი იყო, რომელიც კორუფციიდან ვერა და ვერ გამოძვრა და სწორედ კორუფციამ დაამარცხა.

– რამდენად გადამდები შეიძლება აღმოჩნდეს ეს მოვლენები საქართველოს პოლიტიკისთვის?



– ქართველ საზოგადოებაშიც აშკარაა, რომ არსებული პოლიტიკური ელიტის მიმართ გაუცხოებაა. ჩვენ კვლევებზე დაყრდნობით ვიცით, რომ ქართველი ამომრჩეველი ძიების პროცესშია და მას არ მოსწონს არსებული პოლიტიკური რესურსი.

საპრეზიდენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ ამომრჩეველს არ უნდა არც ერთი პარტიის კანდიდატი. საერთოდ პოლიტიკურ პარტიაზე ამბობს უარს ამომრჩეველი.

– რატომ, პოლიტიკური პარტიები დისკრედიტირებულები არიან?

– ამას ამბობს თავისი გადაწყვეტილებით ამომრჩეველი. ამის ყველაზე კარგი მაგალითი იყო ალეკო ელისაშვილი, რომელმაც თბილისის მერის არჩევნებზე კენჭი იყარა. კახა კალაძეს უზარმაზარი პარტია, სახელისუფლო პარტია მთელი თავისი ატრიბუტიკით, რესურსით მხარს უჭერდა, თავადაც სერიოზული კანდიდატი იყო, მაგრამ რა მოხდა?! ალეკო ელისაშვილმა, მარტო კაცმა, ყოველგვარი პარტიის და სახელისუფლო რესურსის გარეშე, ბრძოლა კინაღამ მეორე ტურში გადაიტანა. ეს რისი მაგალითია თუ არა იმის, რაზეც ვისაუბრეთ?! დიახ, ყველგან, მთელ მსოფლიოში და, რასაკვირველია, მათ შორის საქართველოშიც, პოლიტიკურ ელიტას კრიზისული პერიოდი აქვს.

– ტრადიციულ პარტიებს 2020 წლის არჩევნებში გაუჭირდებათ?

– ამ გადმოსახედიდან ამის თქმა თავისუფლად შეიძლება. კიდევ ვიმეორებ, ჩვენ ამის თქმა დღემდე ჩატარებული სოციოლოგიური კვლევებითაც შეგვიძლია, რომელთა მიხედვითაც, ამომრჩევლის დაახლოებით 60%-ს არც ერთი მოსწონს, არც მეორე და არც არავინ, ვინც დღეს პოლიტიკურ ავანსცენაზეა.

– თუ მესამე ძალა არ გამოჩნდა, ეს 60% არჩევნების დღეს სახლში დარჩება?

– ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული საკითხი. სხვათა შორის, ახლა გამახსენდა და უნდა გითხრათ, რომ თავის დროზე სწორედ ასეთი არასისტემური ფიგურა იყო მიხეილ სააკაშვილი. მერე რა, რომ ის მოქალაქეთა კავშირში იყო და პოლიტიკური გამოცდილება ჰქონდა. მას ჰქონდა ის ელემენტები, რომლებიც სწორედ ასეთი არასისტემური პოლიტიკოსებისთვის და პოლიტიკისთვის არის დამახასიათებელი. თუმცა, ახლა უკვე სააკაშვილს ეს არ აძლევს ხელს, რომ კვლავ ამ ეგიდით მობრუნდეს. თუმცა, მე არ გამოვრიცხავ მიშა 2 ან მიშა 3 გამოჩნდეს.

რაც შეეხება მესამე ძალის გამოჩენას, მე არ ველოდები, რომ ასე უცებ ციდან ჩამოვარდება და თავზე დაგვეცემა და გვეტყვის, მე ვარ „მესამე ძალა“. უკვე გამოჩნდნენ, ძალას იკრებენ პატარ-პატარა ჯგუფები, მე არ გამოვრიცხავ, რომ ისინი ცდილობდნენ, სწორედ მოერგონ ამ ფლანგს. ვნახოთ, რამდენად გამოუვათ მათ ეს. ეს ძალიან ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული.

თუ მართლაც გამოჩნდება რეალური ძალა, რომელიც შეძლებს იყოს ალტერნატივა, მაშინ, მერწმუნეთ, ეს მაჩვენებელი არათუ 60% იქნება, შეიძლება ბევრად მეტი იყოს.

– რეალური ალტერნატივის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი გაიზრდება?

– რასაკვირველია. თავის დროზე ალეკო ელისაშვილის, მე ვიტყოდი, წარმატების მაგალითმა ეს კარგად აჩვენა.

თორნიკე შარაშენიძე: „ზელენსკისთვის სააკაშვილის მიწვევა მომგებიანი იქნება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, უკრაინა მსოფლიო ყურადღების ცენტრშია. როგორ აფასებთ იქ ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს. რა მოხდა უკრაინაში, რა თქვა უკრაინელმა ხალხმა ამ არჩევანით?

– უკრაინაში მოხდა ის, რომ პოროშენკომ იმდენად გაუცრუა ხალხს იმედი, რომ ხალხი მზად იყო, ნებისმიერი სხვა კანდიდატისთვის ხმა მიეცა და ზელენსკის, რომელსაც ჰქონდა ცნობადობა, მისცეს ხმა. მხოლოდ ცნობადობა, მეტი არაფერი. ზელენსკის სხვა რა აქვს? არანაირი გამოცდილება, არანაირი პოლიტიკური წონა, მხოლოდ და მხოლოდ მსახიობია, კომიკოსი.

– ეს იყო პოროშენკოს წინააღმდეგ წასული ხმები?

– კი, ასე იყო. თავისთავად ეს მაჩვენებელია სერიოზული სისტემური კრიზისის უკრაინაში. თუ ზელენსკიმაც ვერ გაამართლა, მერე რას აპირებს უკრაინელი ხალხი?! მერე ვის უნდა მისცეს ხმა, ვინ უნდა აირჩიოს ლიდერად? ამ მხრივ ძალიან სერიოზული პრობლემებია.

– ზელენსკიმ სააკაშვილი მიიწვია უკრაინაში, როგორც გამოცდილი პოლიტიკოსი. ამ ფაქტმა ნაციონალები ძალიან გაახარაო. რა უხარიათ ნაცებს? ქართული კუთხითაც რომ შევაფასოთ.

– ქართული კუთხით ძალიან მარტივია, პრიმიტიულია. ქართული პოლიტიკა ჯერჯერობით ვერ გაცდა სააკაშვილის ფაქტორს. ყველა სააკაშვილის მოწინააღმდეგე ან მომხრეა. ივანიშვილის კოზირი რა იყო თავის დროზე? სააკაშვილის წინააღმდეგ გაერთიანება, ის პოლიტიკურად რას წარმოადგენდა? არც არაფერს.

– სააკაშვილის უკრაინაში ჩასვლის საკითხი კვლავაც გაურკვეველია, არ უშვებს სასაზღვრო პოლიცია.

– ამას გადაწყვეტს ზელენსკი. თუ შეცვლის ბრძანებას, შეუშვებენ, თუ არ შეცვლის, არ შეუშვებენ.

– 2021 წლამდე არ აქვს უკრაინაში შესვლის უფლება.

– ჯერჯერობით აკრძალვა ძალაში რჩება თუ არ გააუქმებენ. დემოკრატიული ორგანოა და ემორჩილება ბრძანებას. ინაუგურაციის შემდეგ, ზელენსკი თუ მოინდომებს, მას შეუძლია მოხსნას ეს აკრძალვა. მერე ნახეთ თქვენ აქ ნაციონალების ყიჟინა და „ოცნების“ ისტერიკა.

– ეს ყიჟინა ისმის უკვე. მიშა ჯერ ჩავა უკრაინაში და უკრაინიდან მოდის საქართველოშიო. დაახლოებით ასეთი ტექსტებია.

– რა თქმა უნდა, ბუნებრივია, სხვას რას იზამენ ესენი?! ამ ქვეყანაში მთავარი არის რეალურად ისევ და ისევ სააკაშვილის ფაქტორი. პოლიტიკურ ფაქტორს ვგულისხმობ.

– გაჩნდა ვერსია, რომ სააკაშვილი შესაძლოა უკრაინის პრემიერ-მინისტრადაც ვიხილოთ. რამდენად არის ეს შესაძლებელი?

– რამდენად დამოუკიდებელია ზელენსკი, ეს სერიოზული თემაა, იმიტომ, რომ ზელენსკის უკან დგას კოლომოისკი. აქედან გამომდინარე, მთლად ასე მარტივი არ მგონია სააკაშვილის დაწინაურება. მით უმეტეს, მისი პრემიერად დანიშვნა არ იქნება ასე მარტივი. თუმცა ზელენსკისთვის სააკაშვილის დანიშვნა მომგებიანიც იქნება.

– რა თვალსაზრისით?

– პირველი, რომ ეს ბოლოს მოუღებს მითქმა-მოთქმას იმაზე, რომ ზელენსკის ფარული კავშირი აქვს მოსკოვთან და ის მოსკოვის გაყვანილია და მეორე, ქვეყანას სჭირდება მოკავშირე გარედან. ზელენსკი არის გარედან მოსული, არანაირი პოლიტიკური წონა მას უკრაინაში არ ჰქონდა და ამიტომ გარედან სჭირდება სერიოზული მოკავშირე. ხოლო სააკაშვილი მისთვის შესაძლოა კარგი მოკავშირე იყოს.

– რატომ, სააკაშვილს ბევრი მეგობარი ჰყავს საერთაშორისო წრეებში და შეძლებს ამ კუთხით ზელენსკის დახმარებას?

– კი, რა თქმა უნდა, ამ კუთხით გამოადგება ძალიან.

– ჩვენც გვაქვს წინ არჩევნები, აქაც ხომ არ ელოდებით რაიმე სიურპრიზებს, რა არჩევანს გააკეთებს ქართველი ხალხი?

– პარალელი მარტივად არ გაივლება. უკრაინაში მარტივი არ არის ამომრჩევლის მოსყიდვა, რადგან უკრაინა ბევრად უფრო მდიდარი ქვეყანაა. გარდა ამისა, იქ რამდენიმე ოლიგარქია და ისინი ერთმანეთს აბალანსებენ. ასე არ არის, რომ მხოლოდ ერთს აქვს ფული და გავლენა და მას შეუძლია ყველა მოისყიდოს, ან

ყველა დააშინოს. და მესამე და მთავარი, როგორც აღმოჩნდა, იქ სასამართლო არის დამოუკიდებელი. მეორე ტურის წინ იყო ზელენსკის არჩევნებიდან მოხსნის მცდელობა, მაგრამ სასამართლომ ეს არ დააკმაყოფილა.

ჩვენთან სასამართლო როგორი დამოუკიდებელია, ყველამ კარგად ვიცით. ასე რომ, საკმაოდ დიდი განსხვავებაა ჩვენსა და უკრაინას შორის.

– თქვენ ამბობთ, რომ უკრაინაში ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები?

– კი, რა თქმა უნდა და ეს არ იყო პირველი შემთხვევა. მათი პირველი პრეზიდენტი, კრავჩუკი, წავიდა არჩევნებით ძალიან ცივილურად, არ ჩაბღაუჭებია ხელისუფლებას და დღესაც მშვენივრად ცხოვრობს უკრაინაში, ძალიან ღირსეულად და ყველა პატივს სცემს ამის გამო, რომ დემოკრატიული გზით წავიდა. ასე რომ, პირველად არ ყოფილა უკრაინაში, როცა წააგო არჩევნები პრეზიდენტმა და წავიდა მშვიდად.

ისინი ამ მხრივ გაცილებით წინ არიან წასულები. კი რაღაც-რაღაცებში ჩამოგვრჩებიან, კორუმპირებულები არიან, მაგრამ დემოკრატიული არჩევნების გამოცდილება მათ ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში ჰქონდათ. იუშჩენკოც არჩევნებით წავიდა, აგერ პოროშენკოც წავიდა. არ არის ეს მათთვის ტრაგედია.

– ძნელია წინასწარ განსაზღვრო რუსეთის ქმედება, მაგრამ მაინც, როგორი იქნება მისი პოლიტიკა უკრაინის მიმართ?

– რუსეთი არ ჩანს უკმაყოფილო. ახლა მისი მხრიდან ადგილი ექნება მცდელობას რაღაც ურთიერთობის დალაგების, რა თქმა უნდა, რუსეთის პირობებით. რას იზამს ზელენსკი, ეს არც ისე მარტივად სათქმელია. დაველოდოთ. მთავარია, კრიზისი არ შეიქმნას უკრაინაში, რაც ძალიან ცუდი იქნება.

პრაქტიკულად ყველაფერი სცადა უკრაინელმა ხალხმა. აღარ დარჩა არჩევანი. აი, ეს იქნება მათი პრობლემა, მერე რას აპირებენ?! თუ ამდენი მცდელობის მიუხედავად, მაინც არაფერი გამოვიდა. უკრაინას გაცილებით მეტი მოეთხოვება, ვიდრე ჩვენ, მოსახლეობა გაცილებით მეტია იქ. გაცილებით ახლოა ევროპასთან, გაცილებით დიდი ტერიტორია და დიდი რესურსები და მთავრობას იქ უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე საქართველოში.

2019, 24 აპრილი, №96

გია ხუხაშვილი: „ხელისუფლება რევოლუციურ სიტუაციას თვითონ აწყობს“

იაგო ნაცვლიშვილი

„ვეჭვობ, პანკისის მოვლენები გახარიას წინააღმდეგ შიდასახელისუფლებო ინტრიგებია. მრავალ პერიპეტიას ვიხილავთ“

„დაიცავი საქართველოს“ დამფუძნებელმა დავით მაღრაძემ პანკისში მიმდინარე პროცესების კონტექსტში განაცხადა, რომ ხელისუფლება თუ ასე გააგრძელებს, მაშინ ეს არჩევნების გზას გამორიცხავს და რევოლუციურ სცენარს ახალისებს.

რას ნიშნავს ეს განცხადება, თავად ხელისუფლება ვერ აანალიზებს, რომ რევოლუციური სცენარის საშიშროებაა და რა მოხდა პანკისში? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს:

– დავით მაღრაძემ პანკისში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით შეფასება გააკეთა და გარკვეულწილად მინიშნება გააკეთა რევოლუციურ სცენარზე, თქვა, რომ რაც პანკისში მოხდა, რაც სასამართლოს გარშემო ხდება და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება ვერ აანალიზებს ვითარებას, რაც არჩევნებს გამორიცხავს. რა დაინახეთ მაღრაძის განცხადებაში?

– არა მგონია, რომ რაღაც რევოლუციას გეგმავდეს. საერთოდ, მაღრაძე არაფერს გეგმავს. ის არის შემოქმედი ადამიანი, რომელიც გრძნობს პროცესებს. როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში ემოცია და ჩვენი შეგრძნებები წინ უსწრებს ლოგიკას. ამბობს იმას, რომ ფაქტობრივად რევოლუციური განწყობები საზოგადოებაში ჩნდება მაშინ, როცა უფსკრული ჩნდება ხელისუფლებასა და დანარჩენ საზოგადოებას შორის. როდესაც დიალოგი არ მიმდინარეობს და ხელისუფლება ცდილობს, მონოლოგის რეჟიმში მართოს, ანუ იბატონოს და არა იმსახუროს, ამაზე საუბრობს. არა იმაზე, რომ რაღაცა იგეგმება, არამედ იმაზე, რომ ამ ვითარებიდან გამომდინარე იქმნება სცენარი, რომ პროცესები რევოლუციურად განვითარდეს, რაშიც ძნელია, არ დაეთანხმო.

ის არ ამბობს, რომ მას ეს უნდა, სურვილი აქვს ან ამისთვის იღვწის. მან ეს თქვა. საერთოდ, რევოლუციას არავინ არავის უწყობს. რევოლუციას ხელისუფლება თავის თავს თვითონ უწყობს. პრობლემა არა რევოლუციურ ძალებშია, არამედ ხელისუფლების არაადეკვატურობაში, რითაც მზადდება საფუძველი.

– თვითონ ხელისუფლება ამის საშიშროებას ვერ გრძნობს?

– სამწუხაროდ, ვერ გრძნობს, იმიტომ, რომ ამ ბოლო დროს ყველაფერს უკულმა აკეთებენ. იმავე სასამართლოზე დღემდე ჯიუტად გვიმტკიცებენ, რომ თურმე სასამართლო ავტორიტეტული ინსტიტუტია. სავლე გახდა პავლე და ახლა



ყველაფერი კარგად არის.

პანკისში რაც მოხდა თუნდაც ეს. რა მოხდა პანკისში? თვითონვე შექმნეს პრობლემა და მერე ასე განვითარდა.

– თვითონ რატომ?

– ან სიბრიყვით, ან შიდასახელისუფლებო ინტრიგებთან გვაქვს საქმე. რა მნიშვნელობა აქვს, ფაქტია, რომ კიდევ ერთხელ ბეწვის ხიდზე გავიარეთ. აღარ იგრძნობა ხელისუფლების რაიმე ტიპის კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ხალხთან. დაკარგა ეს ყველაფერი, თვლის, რომ თვითონ არის ოლიმპზე და თვითონ ფლობს ჭეშმარიტებას და უნდა აკეთებდეს ისე, როგორც თვითონ წარმოუდგენია და არა ისე, როგორც უკვეთს ხალხი. ეს ქმნის რევოლუციურ სიტუაციას.

– ძალიან საინტერესო ფრაზა თქვით – შიდა ინტრიგები. მოვისმინეთ უწყებების ერთმანეთზე გადაბრალება. გახარია ამბობს, რომ ეკონომიკის მინისტრმა სთხოვა ვითარების დარეგულირება, სუს-ის თქმით, მისი უფლებამოსილება ანალიტიკაა. ეს ყველაფერი რას ნიშნავს?

– გადაბრალება საერთოდ არახალია. გადაბრალების დიდოსტატები არიან ხელისუფლების ჯგუფები. ეს თავისთავად ცხადია, მაგრამ ეს არ არის მთავარი პრობლემა.

– თუმცა, აქამდე ოპოზიციას აბრალებდნენ ხოლმე.

– ურთიერთგადაბრალება ხელისუფლებაში მოსულა, მაგრამ მე იმის მეშინია, კიდევ უფრო ცუდად არ იყოს საქმე. მხედველობაში მაქვს ის, რომ ამ ძალთა გადანაწილების პროცესში სპეციალურად არ იგეგმებოდეს პროვოკაციები ერთმანეთის მიმართ, ანუ თავების მარხვა არ მიდიოდეს.

– ანუ, გახარიას წინააღმდეგ ხედავთ რაღაცას?

– მე ამას არ ვამტკიცებ, მაგრამ მოვლენების ლოგიკა ასეთ ეჭვებს ბადებს, რომ ეს ყველაფერი იყო ხელოვნურად შექმნილი პრობლემა გახარიას წინააღმდეგ. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ გახარიას სწრაფად არ ემოქმედა და პირადად თვითონ სწრაფად არ ჩაექრო ეს ყველაფერი, არავინ იცის, რა მოხდებოდა. კიდევ არ დასრულებულა პროცესი და არავინ იცის, კიდევ რა მოხდება, მაგრამ ამ ეტაპზე მან ჩააქრო პროცესი. მას ეს რომ არ გაეკეთებინა, არ გამოვრიცხავთ, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო ხელისუფლებაში. ასეთი ქმედებები, ამხელა პოლიციური ოპერაციის ჩატარება... რეალური საფუძველი ამას არ ჰქონდა.

კომერციული პროექტია, კომერციული ორგანიზაცია ასეთ საკითხებს მოსახლეობასთან თვითონ უნდა აგვარებდეს და არ უნდა ითხოვდეს სპეცოპერაციის რეჟიმში თავისი ინტერესების გადაწყვეტას, მით უმეტეს, ეს პროექტი საკმაოდ მცირე ზომის არის. ასე რომ, ეს თან ხდება იმ ფონზე, როდესაც მაჩალიკაშვილის თემის ჰაერში გამოკიდებასთან დაკავშირებით საკმაოდ სტრესული დამოკიდებულებაა. სპეცრაზმის იქ შეყვანა სრული უგუნურება იყო.

ასე რომ, ჩვენ ვერაფერს გამოვრიცხავთ. მე არაფრის მტკიცება არ მინდა. შეიძლება, უბრალო სიბრიყვესთან და გადაბრალება-გადმობრალებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ შეიძლება, საქმე გაცილებით ცუდად იყოს. სახელმწიფო უსაფრთხოებას ეთამაშებიან, იმიტომ, რომ პანკისი არ არის ჩვეულებრივი რეგიონი, სადაც შეიძლება, თავ-პირი დაულეწო ვიღაცებს და ხვალ დაივიწყო. ასეთ რეგიონში გრძელვადიანი რისკები იქმნება.

– ამ ვერსიას რომ გავყვეთ, ჩნდება კითხვა, ვის უნდა გახარიას ჩაჩოჩება?

– მე არ მინდა. სახელებითა და გვარებით არ ვილაპარაკებ, მით უმეტეს, რომ არ ვარ დარწმუნებული ამ ვერსიის სისწორეში. ასეთი ჯგუფები ხელისუფლებაში არსებობს, რომლებისთვისაც გახარია დისკომფორტის შემცველია, იმიტომ, რომ ის არ არის არც ერთ ამ ჯგუფში ჩართული, ინტერესთა არც ერთ ჯგუფს არ წარმოადგენს. ფაქტობრივად, მარტოა და, შესაბამისად, დისკომფორტის შემცველია ყველა ჯგუფისთვის. არავისთვის არ არის მისაღები მისი აქტიურობა, მით უმეტეს, როდესაც ის შედარებით უკეთესად გამოიყურება, ვიდრე სხვა ჯგუფები. რა თქმა უნდა, ეს სხვებს ანერვიულებს. ასეთი რაღაცები რომ იგეგმებოდეს, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ ამ რეგიონში ვიღაც-ვიღაცებს ამის ინსტრუმენტები ამ რეგიონში აქვთ სხვადასხვა სპეციფიკური კავშირებით, ეს არ იქნებოდა გასაკვირი.

– ღარიბაშვილზე ჩნდება ხოლმე ინფორმაციები. თქვენც მის ჯგუფს ხომ არ მოიაზრებთ ამ ვერსიაზე საუბრისას?

– მე ასე ვერ ვილაპარაკებ, არ მაქვს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ კონკრეტულად ვინმეს ხელი დავადო. მე შემიძლია, ზოგად კონტექსტში ვისაუბრო.

– უახლოეს პერიოდში ამ მიმართულებით პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით?

– რადგან გახარიასთან დაკავშირებით ამ ჯგუფების ინტერესები არის მაღალი, ველოდები, რომ ეს არ არის უკანასკნელი პროვოკაცია მის მიმართ. კიდევ ბევრ პერიპეტიას ვიხილავთ მისი მოშორების მიზნით. ფაქტობრივად, მის მიმართ არის ბიძინა ივანიშვილის მეტ-ნაკლები კეთილგანწყობა. ეს რომ არ იყოს, აქამდე დიდი ხანია, შეჭამდნენ.

უახლოეს მომავალში ქვეყნისთვის კარგს არაფერს უნდა ველოდოთ, იმიტომ, რომ დეგრადაციის პროცესი მიმდინარეობს და პანკისის მოვლენებიც ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ეს მანკიერი სისტემა ნგრევის პროცესშია. ამ ნგრევას მდორე ხასიათი აქვს და შეიძლება აშკარად, შეუიარაღებელი თვალის გარეშე არ ჩანდეს, მაგრამ ტენდენციები ძალიან შემაშფოთებელია. მე არ ვიცი, რა პერსპექტივები აქვს სამომავლოდ „ქართულ ოცნებას“.

ქართული წყალი უცხოეთში სულ უფრო მოთხოვნადი ხდება

საქართველოდან მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტის ზრდის პარალელურად, ადგილობრივი კომპანიების ნაწილი დამატებითი ბაზრების მოძიებას იწყებს, ნაწილი კი მთლიანად ექსპორტზე ორიენტირებას გეგმავს. როგორც კომპანიების წარმომადგენლები აცხადებენ, ქართულ წყალზე უცხოეთში მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება.

მოთხოვნის ზრდაზე მიუთითებს საქსტატის მიერ „ბიზნესპრესნიუსისთვის“ მიწოდებული ინფორმაციაც, რომლის თანახმად, 2019 წელს 27,233 მლნ ლიტრი (17,851 მლნ დოლარი) პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა, რაც 31%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. 2018 წლის იანვარ-თებერვალში ქვეყნიდან სულ 20,798 მლნ ლიტრი (13,741 მლნ დოლარი) მინერალური და მტკნარი წყლები გავიდა.

რაც შეეხება წლიურ მაჩვენებლებს, 2017 წელს, ჯამში, 147,223 მლნ ლიტრი მინერალური და მტკნარი წყლის ექსპორტი განხორციელდა, რაც ფინანსური მაჩვენებლებით 95,776 მლნ დოლარს შეადგენდა. 2018 წელს კი 172,006 მლნ ლიტრი გავიდა, რაც თანხობრივად 110,176 მლნ დოლარია.

კომპანია „ნაბეღლავის“ ექსპორტის მენეჯერი ლევან ჩიქოვანი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მათი პროდუქცია უკვე 20-მდე ქვეყანაში გადის. ამასთან, ექსპორტირებული მინერალური წყლის მოცულობა ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება.

– ჩვენ უკვე წლებია, ექსპორტზე ვაგზავნით პროდუქციას და დინამიურად ვავითარებთ ამ მიმართულებას. რა თქმა უნდა, ყველა ბაზარს თავისი სპეციფიკა და კანონმდებლობა აქვს, თუმცა ვსწავლობთ და პარტნიორებთან ერთად ვმუშაობთ ამაზე. ამ ეტაპზე, ჩვენი წყლები 20 ქვეყანაში გადის. კერძოდ, აშშ-ში, ევროკავშირში, თურქეთში, იაპონიაში, ისრაელში და დსთს ქვეყნებში. რაც შეეხება მოცულობას, ექსპორტზე მთლიანი წარმოების უკვე 15%-ზე მეტი გადის და ამ მაჩვენებელს წლიდან წლამდე ვზრდით, – აცხადებს ლევან ჩიქოვანი.

მისი თქმით, მოთხოვნიდან გამომდინარე, კომპანია ახალი ქვეყნების ათვისებას აგრძელებს და სულ მალე, შესაძლოა, მათი პროდუქციის ექსპორტიორ ქვეყნებს უზბეკეთი და ჩინეთიც დაემატოს.

– ვაპირებთ, რომ უზბეკეთის მიმართულებით გავიდეთ, რადგან იქ საბაჟო საკითხები დარეგულირდა. მანამდე აღნიშნულ ქვეყანაში საკმაოდ მაღალი გადასახადები იყო და ახლა ლიბერალური გახდა. ასევე, ჩინეთს მიმართულებითაც ვგეგმავთ განვითარებას, – აცხადებს ლევან ჩიქოვანი.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ლევან ხაბეიშვილი: „კალაძე ივანიშვილს უთვალთვალებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– მგონია, აქ სხვა რაღაცაში გვაქვს საქმე. ბიძინა გაქცევას აპირებს. ეს ამბავი კალაძის ყურამდეც არის მისული. მერიის მე-19 სართულიდან დაუწყებს ამ ჭოგრიტებით ივანიშვილის რეზიდენციის ყურებას – შემთხვევით არსად ხომ არ მიიპარებაო ბიძინა.

„სან სიროს“ რაც შეეხება, ვერ დაინახავს. სულ ეშმაკის ბორბალზე რომ ავიდეს და 4 ჭოგრიტი დაიკაოს, მაინც ვერ დაინახავს.

მშენებლობების გაკონტროლება თუ უნდათ, ამას ჭოგრიტი არ სჭირდება. საცობების დანახვაც შესაძლებელია ამის გარეშე. ქალაქში არსებული პრობლემები რომ დაინახო, ამისთვის თვალის გახელაა საჭირო.

– თვალის გახელაც არ სჭირდებათ – თქვენ მოგისმინონ და ყველაფერი ეცოდინებათ.

– ჩემი მოსმენა არ უყვართ ხოლმე. რამეს რომ ვიტყვი, ერთი ამბავი ტყდება, მერე ირკვევა, რომ მართალი ვყოფილვარ.

კალაძე და მერია ისეთ რაღაცებს აკეთებენ, აშკარაა, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ. ტყუილად აქვთ იმის იმედი, რომ არ მოეკითხებათ. წინა ხელისუფლებასაც ასე ეგონა, მაგრამ ზოგიერთ მათგანს სამართლიანად მოეკითხა. ამათაც მოეკითხებათ. არაფერი მუდმივი არ არის და ამ ბიჭებსაც მოუწევთ რაღაცებზე პასუხის გაცემა. ახლა კალაძე ფიქრობს, რომ მილანში გაიქცევა. ვერსადაც ვერ გაიქცევა.

ჭოგრიტის გამო ნაღდად არ მოსთხოვენ პასუხს, მაგრამ ბექა ოდიშარიასთან ერთად განხორციელებული მაქინაციების გამო ეს ბიჭი ნაღდად დასაჭერია.

– განსაკუთრებული ყურადღება ჭოგრიტებს დაუთმეთ და ფოტოაპარატებზეც გვითხარით. ხომ ჰქონდათ მერიაში ფოტოაპარატები, რატომ გახდა ახალი აპარატების შეძენა საჭირო?

– ძველ ტენდერებსაც გადავხედე და ვნახე, რომ მერია წელიწადში ერთხელ და ორჯერ ფოტოაპარატებს ყიდულობს. ახლა 15 ცალის შეძენას აპირებენ. თითოეულში 3.000 ლარი უნდა გადაიხადონ.

21-ე საუკუნეში ვის უკვირს ეს ფოტოაპარატები, ან რა უნდა გადაიღონ ამდენი. მაგრამ უყვარს ამ ბიჭს სურათების გადაღება. მთავრობის სხდომაზე დადგება დაყენებული სახით და გვამცნობს, რომ მეტროს ვაგონების ახალი შემადგენლობა დაემატა. მეორე დღეს ვაგონები ჩერდება – ხან გვირაბში იჭედება, ხანაც ცეცხლი ეკიდება.

მთავარია, კალაძე მთავრობის სხდომაზე გამოჩნდეს დაყენებული სახით და მე არ შევიდე იქ. ოფიციალურად აქვს ნათქვამი, ვინც გინდა, მოვიდეს საკრებულოდან, ოღონდ ხაბეიშვილი არაო.

არ გამოვრიცხავ, ერთი ჭოგრიტი მე მაჩუქოს – საკრებულოდან გავხედავ დედაქალაქის მთავრობის სხდომას და მერიაში აღარ მივალ.

ახლა ვიცინი, მაგრამ ჭოგრიტებში ამდენი ფულის გადაყრა არ შეიძლება. თავისი ფულით გინდა ჭოგრიტი იყიდოს და გინდა იაგუარი.

თავის ფულზე გამახსენდა, 8 მარტს ჟურნალისტებს ყვავილები დაურიგა. ეს თაიგულებიც ბიუჯეტის ფულით იყიდა. ყვავილიც კი არ იყიდა თავისი ფულით.

– ოჯახის მუჭუჭია ეგ ბიჭი აშკარად.

– არა ბიჭო. ამ ჟურნალისტ გოგოებსაც უხაროდათ, კალაძემ ყვავილები გვაჩუქაო. არადა, ეს ყვავილები მათივე ფულით იყო ნაყიდი. იის კონაში არ გაიმეტა ლარი. მერე იძახის, ხელფასს არ ვიღებო. ხელფასი რად უნდა, ბიუჯეტი აქვე არ არის?!

ამის გარდა, ყველაფერს მილანიდან მოათრევს – საახალწლო განათებებიო, ნაგვის ურნებიო.

– ჭოგრიტებიც მილანიდან ხომ არ მოაქვს?

– არა, ეგენი ჩინურია. თან ხომ იცი, ჭოგრიტი რა არის, მეკობრეებს რომ ეკავათ, ცალი თვალით რომ უნდა გაიხედო.

– აშკარად რაღაც სხვა მიზნებისთვის უნდა კალაძეს ეგ ჭოგრიტები.

– გეუბნები, ბიძინას უთვალთვალებს, რომ არ გაეპაროს.

ვახტანგ მაისაია: „პანკისში რაც მოხდა, ტერორიზმთან კავშირში არ არის“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გაცილებით ეფექტური გახდა, ვიდრე სხვა ძალოვანი სტრუქტურები

გულიკო ბალაძე

პარლამენტში რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე სუსის მუშაობის 2017 წლის მუშაობის ანგარიში მოისმინეს. როგორ ფასდება სუსის მუშაობა? ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ამ და სხვა თემებზე „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, პარლამენტში სუსის მუშაობის ანგარიში მოისმინეს. იყო მოსმენის დახურული და ღია ნაწილი. ანგარიში ეხებოდა ქვეყნის უსაფრთხოებას, გამოწვევებს, ამ სამსახურის მუშაობასა და სხვა საკითხებს. როგორ აფასებთ ამ ანგარიშს, რაც ღია ფორმატში საზოგადოებამ მოისმინა? თუ ეტყობა ქვეყანას, რომ საქართველოს ძლიერი სპეცსამსახურები ჰყავს?

– წარმოდგენილ მოხსენებას გავეცანი, რაც მასმედიაში გამოქვეყნდა. ნორმალური ანგარიშია. დაფიქსირებულია, რომ შავი ტრანზიტის პოტენციალი შემცირდა, რაც კარგია იმიტომ, რომ მე ამის თაობაზე მათ ადრე ვაფრთხილებდი. სამწუხაროდ, გაფრთხილებიდან 6 თვეში ჩემი პროგნოზი გამართლდა, რაც შემდეგ ბრიტანელმა პარლამენტარებმა გამოიყენეს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება რომ მზადდებოდა, მაგრამ არა იმ კონტექსტში, როგორც შემდეგ ზოგიერთმა ჟურნალისტმა წარმოაჩინა.

– როგორ გამართლდა?

– რაც მოხდა ჩატაევთან და მის ჯგუფთან დაკავშირებით. ჩატაევი და მისი ჯიჰადისტები, ტერორისტები გადაადგილდებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამის შემდეგ მიღებულ იქნა ადეკვატური ზომები და ეს საფრთხე დღის წესრიგიდან მოხსნილია.

ანგარიშში მეორე მომენტი იყო, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იწყებს სპეციალიზებული სასწავლო ცენტრის შექმნას, რაც ადრეც უნდა გაკეთებულიყო. მიშა სააკაშვილმა გააუქმა უშიშროების აკადემია და ისეთი კადრებით დააკომპლექტა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების სტრუქტურები, რომლებიც გეოგრაფიაში ვერ ერკვეოდნენ. მაშინდელი კონტრდაზვერვის უფროსის ვინმე მაზმიშვილისთვის სლოვაკეთი და სერბეთი ერთი და იგივე იყო.

მაშინ სოდი და კუდი სულელებით იყო გაჯერებული, ანუ სახელმწიფო უსაფრთხოების ის სტრუქტურები, რომლებიც მაშინ პოლიტიზებული იყვნენ. იმ დონემდე რომ მივა საქმე, კონტრდაზვერვის უფროსმა გეოგრაფია არ იცის, წარმოიდგინეთ, რა მძიმე შემთხვევა იყო და რა მძიმე მდგომარეობაში იყვნენ სახელმწიფო სამსახურები, რომლებსაც ჩვენი უსაფრთხოება ებარათ, ანუ დოქსოპულოებით იყო დაკომპლექტებული სუსი.

დღეს ამ პრობლემის გადაწყვეტა რომ ხდება, ნამდვილად იგრძნობა. დღევანდელი ხელისუფლების დროს მოხდა საზოგადოებრივი და სახელმწიფო უშიშროების სტრუქტურების გაყოფა. მოხდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შექმნა. შს სამინისტროს დაევალა საზოგადოებრივი უსაფრთხოების პირობების შექმნა. ამან მისცა საშუალება, ნელ-ნელა მომხდარიყო ამ რეფორმის გატარება.

სასწავლო ცენტრის შექმნა კარგი მიღწევა და შედეგია. მათ ამ მიმართულებით წარმატებას ვუსურვებ. ქართული განათლების სფეროში არის ასეთი სასწავლო სტრუქტურები.

– რა პრობლემებია, რა არის აღმოსაფხვრელი?

– აღმოსაფხვრელია პრობლემები პოლიტიკური ექსტრემიზმის მიმართულებით, იმავე კონსტიტუციური წესრიგის მიმართულებით, არის კიდევ ახალი გამოწვევა – კიბერსაფრთხეები. კიბერსაფრთხეების კუთხით სამუშაოა. იმედია, ეს საკითხებიც იქნება წარმოჩენილი. ზოგადად თუ ვისაუბრებთ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გაცილებით ეფექტური გახდა, ვიდრე სხვა ძალოვანი სტრუქტურები. ეს გარკვეული მიმართულებით ჩანს კიდევაც.

– ბოლო დროს ჩანს ის, რომ ეფექტურად მუშაობენ და აქტიურად იჭერენ სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე პირებს კორუფციული საქმიანობისთვის.

– დიახ, ანტიკორუფციული სააგენტოც აქტიურად მუშაობს. იგივე შეიძლება ითქვას ანტიტერორისტული ცენტრზე, რომელიც საკმაოდ ეფექტურად მუშაობს. ბირთვული ტერორიზმის მიმართულებითაც იქნა გამოვლენილი რადიაქტიური ნივთიერებების უკანონო გადაცემის ფაქტი, რაც დროულად იქნა აღმოფხვრილი. ეტყობა, რომ ქვეყანაში მოქმედებს ანტიტერორისტული ცენტრი. სხვაგვარად ქვეყანას აღარ გამოადგება.

ასევე სუსმა მიიღო ძალიან საინტერესო დოკუმენტი – ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია და ამ კუთხით არის პოზიტიური ძვრები.

– მე გკითხეთ, თუ ეტყობა ქვეყანას, რომ საქართველოს ძლიერი სპეცსამსახურები ჰყავს- მეთქი.

– ბუნებრივია, ასი პროცენტით თქმა რთულია, რადგან ქვეყანა არის პოლიტიკური, საპარლამენტო და ახლა უკვე სამთავრობო კრიზისის ფაზაში. ასეთი პირობები თავს დაღს ასვამს სპეცსამსახურებსაც, მაგრამ ჩანს, რომ სპეცსამსახურები მეტ-ნაკლებად მაინც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ. ვთქვათ, იმავე შავი ტრანზიტის პრობლემა ამ ეტაპზე მეტ-ნაკლებად მოგვარებულია.

– შავ ტრანზიტში ნარკოტიკების ტრანზიტიც შედის?

– შავ ტრანზიტში ტერორისტებისა და მისი მომხრეების გადაადგილება და მათი ქსელების საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრება იგულისხმება.

– დღეს კიდევ არის შესაძლებელი ტერორისტების საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და მათი ქსელების აქ დამკვიდრება?

– შრი ლანკაში განხორციელებულმა 9 ტერაქტებმა აჩვენა, რომ ე.წ. ისლამურ სახელმწიფო დაიშს ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი პოზიციები უჭირავს. მართალია, ის გაანადგურეს, როგორც კვაზი სახელმწიფო, აღარ არსებობს, მაგრამ, დავუშვათ, იგივე, როგორც არასახელმწიფო აქტორი, კვლავ დარჩა საშიშ მტრად, ტერორისტული ორგანიზაციების ალიანსად.

ავღანეთში, შრი ლანკასა და სირიაში დაიშის გააქტიურებამ წარმოაჩინა, რომ ის კვლავაც რჩება გამოწვევად საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის.

– უსაფრთხოების თვალსაზრისით არის თუ არა გამოწვევა ისეთი მოვლენა, ისეთი ფაქტი, რაც მოხდა პანკისის ხეობაში?

– პანკისში რაც მოხდა, ტერორიზმთან კავშირში არ არის. პანკისში მოვლენების განვითარებას სოციალური საფუძველი ჰქონდა.

– გასაგებია, მაგრამ მომხდარი გამოწვევა თუ არის უსაფრთხოების თვალსაზრისით?

– ბუნებრივია, გამოწვევა არის. არის სოციალური უსაფრთხოება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და, შესაბამისად, ეს არის ერთგვარი გამოწვევა იმიტომ, რომ როცა რომელიღაც ჩინოვნიკის გაუმართლებელი, აბსოლუტურად გაუაზრებელი ნაბიჯის გამო სიტუაცია იძაბება ისეთ გეოპოლიტიკურად მოწყვლად რეგიონში, როგორიც არის პანკისის ხეობა, ან სიბრიყვეს უნდა დავაბრალოთ, ან ხელოვნურად შექმნილ პროვოკაციას, რომელსაც შორს მიმავალი მიზნები შეიძლება ჰქონდეს.

პანკისში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით აუცილებელია, პარლამენტში შეიქმნას კომისია, რომელიც ამ საკითხს შეისწავლის და მისცემს პოლიტიკურ შეფასებას, რათა კიდევ უფრო მოწყვლადი და ფეთქებადსაშიში ვითარება არ შეიქმნას. პანკისი არის ძალიან ფაქიზი, ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონი. პანკისს ძალიან მნიშვნელოვანი არეალი უჭირავს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში.

თითოეული ნაბიჯი, რომლებიც პანკისთან დაკავშირებით ხელისუფლების მხრიდან გადაიდგმება, ასჯერ უნდა აიწონოს, გაიზომოს და ისე უნდა იქნეს გადაწყვეტილება მიღებული.

– ადრე, როცა დაიში სირიაში ძალიან აქტიური იყო, ე.წ. სახელმწიფო ჰქონდა შექმნილი, მაშინ ინტერვიუებში ამბობდით, რომ მას თავისი ქსელები ჰქონდა, თავისი ჯგუფები ჰყავდა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში.

– დიახ, მიძინებული ქსელები ჰქონდა.

– შეიძლება, დაიშს ის მიძინებული ქსელები კიდევ ჰქონდეს?

– დაიში, სამწუხაროდ, კვლავ სერიოზული გამოწვევაა. ბოლოდროინდელმა ტერაქტებმა ეს კიდევ ერთხელ გვაჩვენა, ანუ დაიში არ გამქრალა. მას მიძინებული ქსელები ნებისმიერ კუთხეში ექნება პოსტსაბჭოთა სივრცეში. ეს სერიოზული ნაბიჯების გადადგმის საფუძველს იძლევა.

– ჩატაევის ჯგუფის ჩახსნის შემდეგ, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს მიძინებული ქსელები შესუსტდა თუ უფრო გაეიზიანდნენ და უფრო მეტი კავშირები აქვთ?

– ჩატაევის შემდეგ, შემთხვევით არ მითქვამს, რომ ანტიტერორისტული მიმართულებით სტაბილური სიტუაციაა. ჩვენი სპეცსამსახურები ამ მიმართულებით აკონტროლებენ სიტუაციას. შესაბამისად, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, კონტროლქვეშ არის. შეიძლება, არსებობს კიდევ სხვადასხვა გამოვლინება, რომლებმაც, შეიძლება, მომავალში გამოწვევები და საფრთხეები შექმნას, მაგრამ მეტ-ნაკლებად ეს სიტუაცია ამ ეტაპზე დარეგულირებულია. როგორც ჩანს, ჩვენმა სპეცსამსახურებმა შესაბამისი დასკვნები გამოიტანეს იმ ტერორისტული რეიდიდან, რომელიც ჩატაევმა და მისმა მიმდევრებმა განახორციელეს.

თეა გოდოლაძე: „ყველა ჰესის პროექტი გადასახედია“

– ჰესებთან დაკავშირებით ყველა პროექტი გადასახედია. უნდა მოვიწვიოთ საერთაშორისო ექსპერტები, თორემ ეს პროექტები ჩვენს ქვეყანას ძალიან ძვირი დაუჯდება, ცუდ შედეგებს მივიღებთ, – განაცხადა დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დირექტორმა თეა გოდოლაძემ 23 აპრილს მედიაცენტრ „მთავარში“ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, დღეს ქვეყანაში ჰესების მშენებლობის თვალსაზრისით მთავარი პრობლემა არის ის, რომ სამშენებლო სამუშაოებს არაკომპეტენტური ადამიანები გეგმავენ და ასრულებენ. მისი თქმით, ისინი ვერ საზღვრავენ იმ რისკებსა და ზიანს, რომელიც შეიძლება, ამ მშენებლობებს მოჰყვეს.

– ტექნიკურ სფეროებში ამ ქვეყანას საკადრო დეფიციტი აქვს, ამის გამოა, რომ ავანსცენაზე გამოდიან ადამიანები, ვისაც ამ კუთხით განათლება საერთოდ არა აქვთ და გვევლინებიან გადაწყვეტილებების მიმღებებად: ბიზნესმენები, იურისტები, ფინანსისტები. მათ არც უნდათ გაიგონ, რა პრობლემასთან აქვთ საქმე და შედეგად კი გვაქვს უაზრო მშენებლობები, რომელიც კარგს ამ ქვეყანას არაფერს მოუტანს, – განაცხადა გოდოლაძემ.

სეისმოლოგის შეფასებით, უდიდესი პრობლემაა ისიც, რომ ჰესებს სეისმურად სახიფათო ზონებში აშენებენ. ამას გარდა, მისი ინფორმაციით, არ არსებობს მონაცემთა ბაზა საქართველოში არსებულ მდინარეებთან დაკავშირებით.

რადიო თავისუფლება

ქართული წყალი უცხოეთში სულ უფრო მოთხოვნადი ხდება

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მიუხედავად იმისა, რომ „იწის წყალი“ ჯერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ არ გადის, როგორც კომპანიის დირექტორი ვლადიმერ გურგენიძე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, მისი ინტერესი მთლიანად ექსპორტზე ორიენტირებაა. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც კომპანია შიდა პრობლემებს მოაგვარებს, ახალ ბაზრებს აითვისებს და პროდუქციის წარმოებასაც გაასამმაგებს.

– ჯერჯერობით ექსპორტზე ვერ გავედით, რადგან ჩემს ბიზნესპარტნიორთან სასამართლო დავა მაქვს. სწორედ მას ევალებოდა პროდუქციის ექსპორტზე გატანა, რამდენიმე პარტია გაიტანა კიდეც, მაგრამ დაკისრებული ვალდებულებები ვერ შეასრულა, ამიტომ ახლა „განქორწინების“ პროცესი მიმდინარეობს.

რაც შეეხება ქვეყნებს, სადაც გასვლას ვგეგმავთ, ეს არის ირანი, ემირატები და რუსეთი. ჯერჯერობით გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ, ძალიან დიდი ალბათობით, ამ ქვეყნებში გავალთ. სიმართლე გითხრათ, ჩემს ინტერესს მთლიანად ექსპორტი წარმოადგენს და ვაპირებ წარმოების გასამმაგებას. ვფიქრობ, რომ საქართველოს ბაზარი ჩვენზე მორგებული დიდად არ არის, უბრალოდ, აქ ვამუშავებ იმიტომ, რომ მიმდინარე ეტაპზე, სანამ ექსპორტზე გავალთ, წარმოება შევინახო, – აცხადებს ვლადიმერ გურგენიძე.

ექსპორტზე გასვლას გეგმავს მინერალური წყლების კომპანია „ძულურიც“. თუმცა, როგორც კომპანიის ხელმძღვანელი სალომე ჯოგლიძე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, მანამდე საჭიროა მათი პროდუქციის შესახებ ცნობადობის გაზრდა, რადგან ამ ეტაპზე პოტენციური ექსპორტიორების მიერ შეთავაზებული თანხა კომპანიისთვის მისაღები არ არის.

– ამ ეტაპზე ჩვენ ექსპორტს არ ვახორციელებთ, თუმცა ამ მიმართულებით გარკვეული მოლაპარაკებები გვაქვს. იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ კონკრეტული პასუხები არ ვიცით, მათ ვინაობას წინასწარ ვერ გავასაჯაროვებთ.

მიზეზი, რის გამოც ექსპორტი ამ დრომდე არ გვაქვს, რამდენიმე პრობლემას უკავშირდება. კერძოდ, ქვეყნების მიერ შემოთავაზებული პირობები, ჩვენთვის ფინანსურად არახელსაყრელია. ჩვენი პროდუქტი სხვა წყლებთან შედარებით, ძვირია, რადგან მისი მოპოვება საკმაოდ რთულია. ძალიან მაღალმთიან და მიუვალ ადგილას მოდის და რაოდენობრივადაც ცოტაა, რაც პროდუქტის ფასს აძვირებს. ამიტომ ექსპორტიორმა ქვეყნებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, რაზეა საუბარი და რომ ეს ჩვეულებრივი მინერალური ან მტკნარი წყალი არ არის. მას სამედიცინო დანიშნულება აქვს. ეს ექსპერტიზითაც დადასტურებულია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მინერალური წყლებით ძალიან გათამამებულები ვართ, მას ანალოგი არ აქვს. ამიტომ, ჩვენი პრიორიტეტია ჯერ ცნობადობის გაზრდა, შემდეგ კი ექსპორტი, – აცხადებს სალომე ჯოგლიძე.

BPN

2019, 24 აპრილი, №96

წყალმომარაგების კომპანიის თანამშრომლებზე 1.700.000 ლარის პრემია-დანამატი გაიცა

გიორგი თარხნიშვილი გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თანამშრომელია. იგი წლებია, რაც კომპანიაში მუშაობს, თუმცა, როგორც მისი ადვოკატი, ნინო ლიპარტია კომერსანტთან საუბარში აღნიშნავს, ახალი უფროსის მოსვლის დღიდან სამსახურში პრობლემები შეექმნა. სიტუაცია უფრო გართულდა, როცა ერთ დღესაც სრულიად დაუსაბუთებლად უთხრეს, რომ კომპანიის თანამშრომელი აღარ იყო.

მსგავს ვითარებაში საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის 60 თანამშრომელი აღმოჩნდა, ამიტომ გიორგი თარხნიშვილმა სამართლიანობის აღდგენა სასამართლოს გზით სცადა. მას სხვებმაც მიბაძეს და საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის უკანონოდ გათავისუფლებული პირების ნაწილი თანამდებობაზე აღადგინა. მეტიც, კომპანიას დაზარალებულთათვის კომპენსაციის გადახდაც მოუწევს.

განვითარებულ მოვლენებზე, წყალმომარაგების კომპანიაში არსებულ უსამართლოდ გაცემულ პრემია-დანამატებზე, ახალი ხელმძღვანელის უკანონო და უსამართლო გადაწყვეტილებებსა და სხვა დეტალებზე გიორგი თარხნიშვილის ადვოკატი „კომერსანტთან“ ღიად და დაუფარავად საუბრობს:

– შპს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირია. იგი საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ზედამხედველობას ექვემდებარება. 2018 წლის მაისის ბოლოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში ახალი დირექტორი ქ-ნი ეკატერინე გალდავა დაინიშნა. ამ პერიოდიდან დაიწყო ახალი თანამშრომლების მიღება და მათზე დაუსაბუთებელი პრემია-დანამატების გაცემა. სახელფასო ანაზღაურების გარდა, პრემია დანამატები დაუსაბუთებლად, მათ შორის, იმ პირებზე გაიცემოდა, რომლებიც გამოსაცდელი ვადით იყვნენ დანიშნული. პრემია-დანამატების მიღების წესი და ობიექტური კრიტერიუმები ორგანიზაციის მიერ შემუშავებული არ იყო.

როგორც ნინო ლიპარტია გვიყვება, გიორგი თარხნიშვილი სამსახურიდან გათავისუფლების დროს კომპანიის აღრიცხვა-რეალიზაციისა და აბონენტთა მომსახურების დეპარტამენტის უფროსი იყო. მან უკმაყოფილება გამოხატა, რომ ხელმძღვანელობა დაუსაბუთებლად და ობიექტური კრიტერიუმების გარეშე გასცემდა ახალი თანამშრომლებზე პრემია-დანამატებს და მოითხოვა ობიექტური კრიტერიუმების დადგენა. ამ პრეტენზიით მიმართა კომპანიის ადმინისტრაციასაც. თუმცა გიორგი თარხნიშვილის ასეთი ღია პოზიცია კომპანიის დირექციასა და მას შორის უთანხმოების მიზეზი გახდა.

– 2018 წლის აგვისტოს თვეში კომპანიაში გამოცხადდა რეორგანიზაცია, რის შედეგად ახალი დირექციის მიერ გათავისუფლდა დაახლოებით 60 თანამშრომელი. მათ შორის იყო თარხნიშვილიც. გათავისუფლების მიზეზად მითითებული იყო შრომითი კონტრაქტის ვადის ამოწურვა. ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა 2018 წლის 17 სექტემბერს. აღსანიშნავია, რომ შრომითი ურთიერთობის ვადის გასვლის შემდგომ შტატი არ გაუქმებულა, თუმცა მაინც უარი მეთქვა ხელშეკრულების გაგრძელებაზე. კომპანიას არ დაუსახელებია, რა მიზნით არ გამიგრძელეს ხელშეკრულება, – ამბობს გიორგი.

ამ ამბის შემდეგ თარხნიშვილმა სასამართლოს მიმართა – მოითხოვა გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა და თანამდებობაზე აღდგენა.

ნინო ლიპარტია:

– გიორგი თარხნიშვილი წლები მუშაობდა ამ კომპანიაში და მასთან შრომითი ურთიერთობა 2015 წელს შეწყდა. თუმცა 2016 წლიდან მან კვლავ დაიწყო კომპანიაში მუშაობა ჯერ გამოსაცდელი ვადით, შემდგომ დაინიშნა მენეჯერულ თანამდებობაზე. გათავისუფლების დღემდე იგი ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსი იყო. მასთან შრომითი ურთიერთობა გაგრძელდა რამდენჯერმე კონკრეტული ვადით. შრომითი ხელშეკრულების ვადის განსაზღვრა მხოლოდ იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ დამსაქმებელს მუდმივად კონტროლის მექანიზმი ჰქონოდა დასაქმებულის მიმართ. ხელშეკრულების ვადაზე შეთანხმება გავხადეთ სადავოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

როგორც ნინო ლიპარტია ჩვენთან საუბარში ყვება, თარხნიშვილის უფლებების დამცველი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ გამოცდილი და კვალიფიციური კადრი კომპანიაში მუშაობდა 2011 წლიდან მენეჯერულ პოზიციაზე და არ შეიძლება, დაუსაბუთებლად გათავისუფლებულიყო თანამდებობიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ 2016 წლიდან ასეთი გამოცდილი კადრი გამოსაცდელი ვადით აიყვანეს და შემდეგ რამდენიმეჯერ კვლავ გაუგრძელეს ხელშეკრულების ვადა. ბოლო გაგრძელება მოხდა 2017 წლის 16 სექტემბრიდან 2018 წლის 17 სექტემბრამდე.

– გასული წლის ზაფხულში თარხნიშვილმა ახალ ადმინისტრაციასთან გამოთქვა მოსაზრება ახალი დირექტორის მიერ გარკვეულ პირებზე დაუსაბუთებლად პრემია-დანამატების გაცემის შესახებ. ამ პრეტენზიით თარხნიშვილმა სახალხო დამცველის აპარატსაც მიმართა. აღნიშნული პრეტენზია გაჟღერებულ იქნა არაერთგზის. სწორედ ამიტომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი მიუღებელი პირი აღმოჩნდა ადმინისტრაციისთვის. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე გიორგიმ წერილობით მიმართა ადმინისტრაციას მიეწოდებინათ ინფორმაცია წყდებოდა თუ არა მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობა. წერილი უპასუხოდ დარჩა. გიორგისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ არავის განუმარტავს. სამუშაოზე გამოცხადების დღეს თარხნიშვილს სამუშაო კომპიუტერი დაბლოკილი დახვდა და ზეპირად განუცხადეს, რომ იგი აღარ იყო თანამშრომელი, – განმარტავს ნინო ლიპარტია.

ადვოკატის მტკიცებით, წყალმომარაგების კომპანიამ გიორგი თარხნიშვილის გათავისუფლების ობიექტური და ლეგიტიმური საფუძველი ვერ დაასაბუთა. ფაქტია, რომ პოზიცია არ გაუქმებულა, უბრალოდ რეორგანიზაციის შემდგომ სახელი შეიცვალა. რეორგანიზაცია კი ფასადურ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან, თითქმის არ შეცვლილა უფლებამოსილება. მას მხოლოდ ერთი სამსახური გამოეყო.

– სასამართლოში მოსამართლისა და ჩვენს შეკითხვაზე წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უწყება არის კერძო სამართლის იურიდიული პირი. მისი დირექტორი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებითა და საკუთარი ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში თავად წყვეტს თანამშრომელთა სამსახურში აყვანასა და გათავისუფლების საკითხს. ასე იყო გიორგის შემთხვევაშიც. ვინაიდან, გავიდა ხელშეკრულების ვადა, დირექტორის გადასაწყვეტი იყო, გათავისუფლებდა თუ გაუგრძელებდა მას შრომითი ურთიერთობის ვადას, – განმარტავს ადვოკატი.

მისივე თქმით, სასამართლოში საქმის განხილვისას მითითებული იყო, რომ გიორგი თარხნიშვილი მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა მიუღებელი პირი, რომ მან პრეტენზია გამოხატა დაუსაბუთებელი პრემია-დანამატების გაცემაზე; მოითხოვა, შეექმნათ ობიექტური კრიტერიუმი, რითაც იხელმძღვანელებდა ადმინისტრაცია პრემია-დანამატების გაცემისას.

– აღსანიშნავია, ისიც, რომ პრემია-დანამატების გაცემის არათუ წესი იყო შემუშავებული კომპანიაში, არამედ ამ თანხის გაცემა თავად ეწინააღმდეგებოდა კომპანიის შინაგანაწესს. ვინაიდან, შინაგანაწესში შესაძლებელი იყო ფულადი ჯილდოს გაცემა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. პრემიისა და ყოველთვიური დანამატის გაცემას დოკუმენტი არ ითვალისწინებდა. კომპანიის წარმომადგენელი კი სხდომაზე განმარტავდა, რომ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია არის კერძო სამართლის სუბიექტი, მისი დირექტორი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ექსკლუზიურად თავად გადაწყვეტს პრემია-დანამატების გაცემის საკითხს, – აღნიშნავს ნინო ლიპარტია.

ამ დროისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვა დასრულებულია და გადაწყვეტილებაც გამოცხადებულია – უწყებამ გიორგი თარხნიშვილთან კომპანიის შრომითი ურთიერთობა უვადოდ მიიჩნია, ხოლო მისი გათავისუფლება უკანონოდ. იგი აღადგინეს თანამდებობაზე და კომპანიას სრულად დაეკისრა გაცდენილი დროისთვის მატერიალური ანაზღაურება.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის ზაფხულიდან კომპანიიდან გათავისუფლებული იქნა დაახლოებით 60 თანამშრომელი. მათ შორის დიდი ნაწილი რეორგანიზაციის საფუძვლით. კომპანიის მითითებით რეორგანიზაციას საფუძვლად დაედო კომპანიის ეკონომიკური გარემოება. კერძოდ, კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აუცილებელი გახდა ფინანსების დაზოგვა და შემცირება. ეს ჟღერდება სასამართლოში, თუმცა გამოთხოვილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ეკატერინე გალდავას დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან დღემდე კომპანიის თანამშრომლებზე გაცემულია 1.700.000 ლარის პრემია-დანამატი. მათ შორის ეს თანხა გაიცემოდა გამოსაცდელი ვადით დანიშნულ პირებზე ყოვლად დაუსაბუთებლად. ასევე, აღსანიშნავია, რომ კომპანიაში თითქმის არასოდეს ჩატარებულა კონკურსი და სამუშაოზე აყვანა დირექტორის უფლებამოსილების ფარგლებში ხდება.

გიორგი თარხნიშვილის უკანონოდ გათავისუფლების გამო გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას გამო ათასობით ლარის გადახდა მოუწევს დასაქმებულისათვის. გიორგისთან ერთად რამდენიმე თანამშრომელმა ასევე სადავო გახადა გათავისუფლების კანონიერება. რამდენიმე საქმეზე გათავისუფლებულთა სასარგებლოდ დასრულდა დავა. რამდენიმე დავა კი ჯერ კიდევ წარმოების პროცესშია, რაც იმას ნიშნავს რომ წყალმომარაგების კომპანიას კიდევ არაერთი უკანონოდ გათავისუფლებული თანამშრომლისთვის მოუწევს ასიათასობით ლარის კომპენსაციის სახით გადახდა.

„ომეგას“ დირექტორი: „კომპანიას ძირს უთხრიან ივანიშვილის მითითებით“

– გაქვთ მითითება, ძირგამომთხრელი პოლიტიკა აწარმოოთ კომპანია „ომეგას“ წინააღმდეგ და ამ მითითებას იღებთ ბიძინა ივანიშვილისგან, – განაცხადა „ომეგა ჯგუფის“ გენერალურმა დირექტორმა ლევან აღდგომელაშვილმა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში, სადაც ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ მოთხოვნით მისული იყო ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი.

ლევან აღდგომელაშვილის თქმით, 5 მარტს „ომეგას“ წარმომადგენლებმა ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურს შესთავაზეს, რომ კომპანია გრაფიკით სრულად გადაიხდიდა როგორც ძირითად გადასახადს, ასევე საურავს, თუმცა, აღდგომელაშვილის თქმითვე, „ომეგამ“ შეთავაზებაზე უარი მიიღო.

„ომეგა ჯგუფის“ გენერალურმა დირექტორის ამ განცხადების პასუხად, ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ კომპანია ითხოვდა დავალიანების გაყინვას 3 წლის განმავლობაში ისე, რომ „კაპიკს“ არ გადაიხდიდა, ხოლო შემდგომი 7 წლის განმავლობაში ყოველკვარტალურად ბიუჯეტში შეიტანდა 2-2 მილიონ ლარს.

– ასეთი საგადასახადო შეთანხმება სადმე გინახავთ? მთელი წელი ვიხვეწებოდი, მოიტანეთ ნორმალური შეთანხმება! მიუხედავად იმისა, რომ ამდენ პოლიტიკურ პერიპეტიას ჰქონდა ადგილი, დღესაც ვამბობ, მოიტანეთ ოდნავ მაინც ჭკუასთან ახლოს მდგომი წინადადება, რომ შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა შევძლოთ. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ქართული სახელმწიფო, საქართველოს საგადასახადო ორგანოები, არავისთან ისე მართალი არ არის, როგორც „ომეგასთან“, – განაცხადა ივანე მაჭავარიანმა.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, „ომეგა ჯგუფში“ შემავალ სიგარეტის მწარმოებელ კომპანია შპს „ოჯთ-ის“ საგადასახადო დავალიანების სახით ერიცხება 51 მლნ 717 ათასი ლარი, რომლის ძირითად ნაწილს შეადგენს თამბაქოს აქციზის გადასახადის გადაუხდელობა. აღნიშნული დავალიანება გადამხდელის მიერ 2015-2018 წლებშია დეკლარირებული.

„ომეგა ჯგუფი“ საქართველოს მთავრობას საერთაშორისო არბიტრაჟში უჩივის.

რადიო თავისუფლება

ივანე მაჭავარიანი საპენსიო რეფორმაზე: „ეს სამუშაო ადგილებს პირველივე წლიდან გაზრდის“

– ეს, საბოლოო ჯამში, სამუშაო ადგილებს პირველივე წლიდან გაზრდის.

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა „ევროპული საქართველოს“ წევრ გიგა ბოკერიას კითხვაზე საპასუხოდ განაცხადა.

კერძოდ, გიგა ბოკერიას კითხვა ივანე მაჭავარიანის მიმართ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე საპენსიო საგენტოს ეხებოდა.

გიგა ბოკერია: საპენსიო რეფორმა სამუშაო ადგილების გაზრდას ან შემცირებას უწყობს თუ არა ხელს?

– მსოფლიოში არ არსებობს ეკონომისტი, ვინც თქვენ გეტყვით, რომ ეს საბოლოო ჯამში არ გაზრდის სამუშაო ადგილებს პირველივე წლიდან, – განაცხადა მაჭავარიანმა.

* * *

კონტრაბანდის ზეწოლას ვგრძნობთ, – ფინანსთა მინისტრი აღიარებს, რომ სამინისტრო გამოწვევის წინაშეა.

ივანე მაჭავარიანი ამბობს, რომ კონტრაბანდული თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლა გაძლიერებულია, არსებობს ტყე-ღრიდან შემოტანის მცდელობა.

მინისტრი ამბობს, რომ კონტროლი გაძლიერებულია და ბუნებრივი ზეწოლაა, რამდენადაც აქციზი მეზობელ ქვეყანაში უფრო ნაკლებია.

მინისტრი დასძენს, რომ კონტრაბანდის შემოტანის მაჩვენებლები ბოლო თვეში შემცირებულია.

ერთ თვეში სასტუმროების ფასების ინდექსი 5.1%-ით გაიზარდა

2019 წლის მარტში, თებერვალთან შედარებით, საქართველოში სასტუმროს ფასების ინდექსი 5.1%-ით გაიზარდა. ამის შესახებ ორგანიზაცია PMCG-ის კვლევაშია ნათქვამი.

მათივე ინფორმაციით, თბილისში სასტუმროს ფასების ზრდამ 4.2% შეადგინა, რაც, ორგანიზაციის განმარტებით, გარკვეულწილად, გაზრდილი ტურისტული ვიზიტების რაოდენობით აიხსნება.

– აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მარტში, 2019 წლის თებერვალთან შედარებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები 31.9%-ით გაიზარდა, მათ შორის, ტურისტული ვიზიტები – 32.6%-ით, – აღნიშნულია კვლევაში.

PMCG-ის მონაცემებით, საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი 2019 წლის მარტში, 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 1.1%-ით გაიზარდა. ამასთან, 2019 წლის მარტში, 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტები 6.4%-ით გაიზარდა, მათ შორის, ტურისტული ვიზიტების რიცხვი კი – 4.3%-ით.

– აღსანიშნავია, რომ 2018 წარმოადგენდა პირველ წელს, როდესაც საერთაშორისო ვიზიტორების მიერ სასტუმროში გატარებულ ღამისთევათა წილმა გადააჭარბა მეგობრების, ნათესავების სახლში გატარებულ ღამისთევათა წილს. 2018 წელს ღამისთევათა განაწილება განთავსების საშუალებების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: სასტუმრო – 39.6%; მეგობრის, ნათესავის სახლი – 26.5%; საოჯახო სასტუმრო – 12.7%; ნაქირავები ბინა – 11.7%, – ნათქვამია კვლევაში.

ამასთან, ორგანიზაციის ინფორმაციით, თბილისში booking.com-ზე დარეგისტრირებულ 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა ყველაზე დიდი წილი 50-150 ლარის დიაპაზონშია, 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა ყველაზე დიდი წილი – 150-300 ლარის დიაპაზონში, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების – 0-150 ლარის დიაპაზონში.

BPN.GE

ლევან ჯიბღაშვილს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს

ის 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ მსახიობი და ბიზნესმენი ლევან ჯიბღაშვილი პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის დააკავა.

22 აპრილს, საღამოს, ლევან ჯიბღაშვილი მისმა ადვოკატმა ამირან გიგუაშვილმა მცხეთის წინასწარი დაკავების იზოლატორში მოინახულა.

ამირან გიგუაშვილის თქმით, ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული მსახიობი გამოძიებასთან თანამშრომლობს.

– ლევანი არ უარყოფს იმას, რომ ეს ნივთიერება იმ ჩანთაში აღმოჩნდა, რომელიც მისი მანქანიდან იქნა ამოღებული, თუ როგორ აღმოჩნდა ეს ჩანთა მის მანქანაში, ან ეს ნივთიერება საიდან აღმოჩნდა ამ პატარა ხელჩანთაში, ეს გამოძიების გასარკვევია და ჩვენ ამ თვალსაზრისით აქტიურად ვთანამშრომლობთ საგამოძიებო ორგანოებთან.

ექსპერტიზის დასკვნას ველოდებით, რომ იქნება საკმაოდ დაჩქარებულ ვადებში, რის შემდეგაც ჩამოყალიბდება კონკრეტული პოზიციები, – განაცხადა ამირან გიგუაშვილმა.

გამოძიების ინფორმაციით, მსახიობის ავტომობილში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ნარკოტიკული საშუალებები. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ლევან ჯიბღაშვილს 6 წლამდე პატიმრობა ელის.

გუშინ, 23 აპრილს, ლევან ჯიბღაშვილს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებისას ლევან ჯიბღაშვილი თავისი მაღალჩინოსანი მეგობრის გვარს ახსენებდა.

– ეს არ შეესაბამება სიმართლეს, სიმართლე იქნება ის, რასაც მე განვაცხადებ, – აღნიშნა ადვოკატმა გიგუაშვილმა ამ საკითხის კომენტირებისას.

კითხვაზე, ხომ არ იყო ჯიბღაშვილის მანქანიდან ამოღებული ჩანთა მსახიობის მეგობრის, ადვოკატმა ინფორმაცია არ დაადასტურა. რაც შეეხება იმას, ჩაუდეს თუ არა ნარკოტიკული საშუალება ჯიბღაშვილს, ადვოკატმა პასუხის გაცემა არ ისურვა.

გუშინ საღამოს თბილისის საქალაქო სასამართლომ ლევან ჯიბღაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიებაზე იმსჯელა.

პროკურატურა ჯიბღაშვილისთვის გირაოს სახით 15 ათასი ლარის შეფარდებას ითხოვდა.

მოსამართლემ პროკურატურის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მსახიობს გირაოს სახით 10.000 ლარის გადახდა განესაზღვრა.

გევორქ სარქისიანის მკვლელობაში ბრალდებულებს 17 და 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ

გევორქ სარქისიანის ჯგუფურად ჩადენილ მკვლელობაში ბრალდებულებს 17 და 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დამამძიმებელ გარემოებებში, ჯგუფურად განზრახ მკვლელობის ჩადენაში ბრალდებულები – ე.მ., ს.მ. და რ.კ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, ხოლო ამავე საქმეზე ბრალდებულები რ.დ., გ.კ. და უ.მ. – სსკ-ის 375-ე მუხლით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ს.მ.-ს და ე.მ.-ს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ გევორქ სარქისიანთან, რაც გრძელდებოდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

აღნიშნულის გამო ს.მ.-მ და ე.მ.-მ მეგობარ რ.კ.-სთან ერთად გადაწყვიტეს და დაგეგმეს გევორქ სარქისიანის განზრახ მკვლელობა. 2018 წლის 12 ივლისს, ს.მ.-მ და ე.მ.-მ, რ.კ.-სთან ერთად ნახეს გევორქ სარქისიანი. საუბრის დაწყებისთანავე ბრალდებულებმა წინასწარი შეთანხმებისამებრ გევორქ სარქისიანს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და იმავდროულად, მისი განზრახ მოკვლის მიზნით სამივემ ხელთ არსებული დანებით სხეულის სხვადასხვა არეში 19 ჭრილობა მიაყენეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მიღებული დაზიანებების შედეგად გევორქ სარქისიანი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ს.მ. -ს და ე. მ.-ს ნათესავმა რ.დ.-მ ნამდვილად იცოდა, რომ ჩადენილი იყო გევორქ სარქისიანის მკვლელობა. აქტიური მოქმედებით, კერძოდ, ე.მ.-ს დამალვაში ხელის შეწყობით, გ.კ.-ს მფლობელობაში არსებული ავტომანქანის მეშვეობით, რომელმაც ასევე იცოდა, რომ ე.მ.-ს მიერ ჩადენილი იყო ზემოაღნიშნული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, აქტიური მოქმედებით დამალა იგი წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუში, რათა შემდგომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ დახმარებოდა საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე გადაყვანაში.

2019 წლის 23 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ე.მ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და 2381 მუხლის მე-2 ნაწილით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში – ჯგუფურად და განზრახ მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება) და საბოლოოდ 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მის მიმართ მიმდინარეობს საერთაშორისო ძებნა.

ს.მ. და რ.კ. ცნობილი იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში – ჯგუფურად). საბოლოოდ თითოეულს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

გ.კ., რ. დ. და უ.მ. ცნობილი იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით (2018 წლის 12 ივლისის მოქმედი რედაქცია – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის, წინასწარ შეუპირებლად დაფარვა) და თითოეულს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ჟურნალისტ ზაზა სვანაძეს სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა

ჟურნალისტ ზაზა სვანაძეს, რომელიც სამართალდამცავებმა მუქარის ბრალდებით დააკავეს, აღკვეთის ღონისძიების სახით სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომ 22 აპრილს მიიღო. დაცვის მხარემ სასამართლო სხდომაზე სვანაძის 2.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების შუამდგომლობა დააყენა, თუმცა სასამართლომ ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

დაცვის მხარე სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

ზაზა სვანაძე სამართალდამცავებმა 20 აპრილს დააკავეს.

მას ნავთობისა და გაზის კორპორაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელ ნინო ჯღარკავას შვილის მიმართ მუქარას ედავებიან. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც მუქარას გულისხმობს.

„5-10 წუთიც რომ დაეგვიანებინათ, მთელ კორპუსს ასწევდა“

გლდანი აფეთქებას გადაურჩა

გუშინ, 23 აპრილს, ბუნებრივი აირის გაჟონვის კიდევ ერთი შემთხვევა მოხდა თბილისში – დედაქალაქი და მისი მცხოვრებლები კიდევ ერთ ტრაგედიას ამჯერად გლდანში გადაურჩნენ.

ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ბინადრებმა დილით სადარბაზოში გაზის სუნი იგრძნეს და „ყაზტრანსგაზს“ შეატყობინეს.

სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ერთერთ ბინაში ონკანი ღია იყო და დიდი ოდენობით ბუნებრივი აირი გროვდებოდა.

ადგილობრივების თქმით, მეპატრონე სახლში არ იმყოფებოდა.

– 5-10 წუთიც რომ დაეგვიანებინათ, კორპუსს ასწევდა. მთელი სადარბაზო დაბლა ჩაიყვანეს, – აცხადებენ ადგილობრივები.

ადგილზე „ყაზტრანსგაზის“ წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. კორპუსს ბუნებრივი აირის მიწოდება გარკვეული დროის შემდეგ აღუდგა.

– კიდევ ერთი საცხოვრებელი კორპუსი გადაურჩა აფეთქებას. მოსახლეობამ გუშინ იგრძნო გაზის სუნი და მხოლოდ დღეს მოხდა კომპანიისთვის ცნობება. მოსახლეობას უმორჩილესად ვთხოვთ, გამოიჩინონ გულისხმიერება და დაუყოვნებლივ მოგვმართონ ასეთ სიტუაციებში. ბინა იყო დაკეტილი, შესაბამისად, მეპატრონე ადგილზე არ იყო, – განაცხადა „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო სწრაფი რეაგირების ჯგუფის უფროსმა ირაკლი დეკანოიძემ.

„მის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრება“

აფგან მუხთარლის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა

თბილისიდან გატაცებული აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. ამის შესახებ ინფორმაცია დაკავებულის მეუღლემ და ადვოკატმა გაავრცელეს.

მუხთარლის მეუღლის ინფორმაციით, მას თვალის არეში გაუსაძლისი ტკივილები აწუხებს, აქვს საშარდე სისტემის სერიოზული პრობლემები, მაღალი წნევა და დიაბეტი. ლეილა მუსტაფაევა აცხადებს, რომ მიუხედავად გაუარესებული მდგომარეობისა, აზერბაიჯანელი ჟურნალისტი ექიმს ამ დრომდე არ მოუნახულებია.

– აფგან მუხთარლის მდგომარეობა აზერბაიჯანის ციხეში გაუარესდა ბოლო პერიოდის განმავლობაში. ბუნებრივია, არ უტარდება ყველა მკურნალობა, რაც ასეთ ტიპის ადამიანს უნდა ჰქონდეს. მის სიცოცხლეს ემუქრება რეალური საფრთხე და რა თქმა უნდა ამაზე პასუხს აგებს აზერბაიჯანის ხელისუფლება და ასევე საქართველოს ხელისუფლება, – განაცხადა აფგან მუხთარლის ადვოკატმა არჩილ ჩოფიკაშვილმა.

ბათუმში ელექტრომობილი 2 ტურისტს დაეჯახა

ბათუმის ბულვარში ორ ტურისტს, რომლებიც ბულვარში სეირნობდნენ, ელექტრომობილი დაეჯახა. შემთხვევის დროს დაშავდა ორი ადამიანი, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მედიკოსების ინფორმაციით, ერთ-ერთ ტურისტს კიდურები დაუზიანდა.

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება უკვე დაიწყო.

რომის ავტობუსში საქართველოს მოქალაქე დაჭრეს

იტალიის დედაქალაქ რომში ავტობუსში მაროკოელმა საქართველოს მოქალაქე ცივი იარაღით დაჭრა.

არსებული ინფორმაციით, მაროკოელსა და საქართველოს მოქალაქეს შორის დაპირისპირება სამგზავრო ავტობუსში მოხდა, რის შემდეგაც მაროკოელმა მას ყელის არეში დანით ჭრილობა მიაყენა.

პოლიციელებმა მაროკოს მოქალაქე დააკავეს. რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეს, ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც ექიმები აცხადებენ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

თორნიკე ნაგლიაშვილი გირაოთი გამოუშვეს

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების წევრი თორნიკე ნაგლიაშვილი, რომელიც ცოლზე მუქარასა და ძალადობაშია ბრალდებული, 5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

ნაგლიაშვილი მარნეულში 5 მარტს დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სპორტსმენის მიმართ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პრიმა 151-ე მუხლით და 126-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახში დანაშაულს, მუქარასა და ოჯახში ძალადობას გულისხმობს.

2019, 24 აპრილი, №96

პუტინმა ზელენსკის არ მიულოცა



უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ვლადიმერ ზელენსკის 73%-მა დაუჭირა მხარი. მან უკრაინის თითქმის ყველა ოლქში გაიმარჯვა. გამონაკლისი მხოლოდ ლვოვის ოლქია. ზელენსკიმ წარმატებას მიაღწია დასავლეთ უკრაინის ისეთ ოლქებშიც, როგორებიცაა ივანო-ფრანკოვსკი (სტეპან ბანდერას სამშობლო) და ტერნოპოლი. კიევის ოლქში მან 60% მიიღო. ოდესაში, ხარკოვში, დნეპრში, ზაპოროჟიეში, ნიკოლაევშიც გაიმარჯვა.

ამრიგად უკრაინას ჰყავს პრეზიდენტი, რომელსაც როგორც დასავლეთი, ასევე ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონებიც მხარს უჭერენ. ასეთი ერთსულოვნება თვით 1991 წელსაც კი არ ყოფილა, როცა უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და პირველი პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი აირჩია. კრავჩუკმა მაშინ ყველა რეგიონში მოიგო, გარდა ლვოვის, ივანო-ფრანკოვსკის და ტერნოპოლისა.

უკრაინის ახალ პრეზიდენტს პირველმა მისმა ამერიკელმა კოლეგამ დონალდ ტრამპმა მიულოცა. მან ზელენსკის დაურეკა.

– აშშ კვლავაც უკრაინის მოკავშირე და მეგობარი იქნება, – განაცხადა ტრამპმა.

ზელენსკის წარმატება გერმანიის კანცლერმა მერკელმა, საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა, კანადის პრემიერმა ტრიუდომ და პოლონეთის პრეზიდენტმა დუდამ მიულოცეს. უკრაინის ახალ პრეზიდენტს ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმაც დაურეკა და წარმატებები უსურვა.

გამონაკლისს მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტი წარმოადგენდა. პუტინმა ზელენსკის არ მიულოცა.

– უკრაინელი ხალხის არჩევანს პატივს ვცემთ. რაც შეეხება მილოცვას, ეს ნააღრევია, – ამბობს პუტინის პრეს-მდივანი დიმიტრი პესკოვი.

პესკოვის განცხადებაში ნათქვამია, რომ უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონის ინტერესების უხეში უგულებელყოფა ხდება.

– უკრაინელი ხალხის ნებას პატივს ვცემთ. რაც შეეხება იმას, ახალ პრეზიდენტთან ვიმუშავებთ თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს, – თქვა პესკოვმა.

რუსეთის პრეზიდენტის მოთხოვნა კატეგორიულია: დონბასში ომის დამთავრება, ამ რეგიონისთვის ფართო ავტონომიის მინიჭება, უკრაინის ფედერალიზაცია. ზელენსკის ამაზე დაყაბულება არ შეუძლია, რადგან უკრაინელთა 80% დონბასის განსაკუთრებული სტატუსის წინააღმდეგია. ფედერალიზაციას კი მხარს მხოლოდ 3% უჭერს. ნატოში გაწევრიანების

მომხრე 66%-ია.

თუ ახალი პრეზიდენტი პუტინის წინადადებას დათანხმდება, მისი კარიერაც უმალ დასრულდება.

– იანუკოვიჩმა რუსეთში გაქცევა მოახერხა. უფრო სწორად, მას ამისი საშუალება მისცეს! დღეს უკრაინაში ომია. ხალხიც გამწარებულია და თუ ზელენსკი რუსეთის წინაშე კაპიტულაციაზე წავა, საეჭვოა, რომ რუსეთამდე ჩააღწიოს, – ასეთია „დოიჩე ველეს“ კომენტარი.

ზელენსკის კაპიტულაციის არავითარი სურვილი არ გააჩნია. პრეზიდენტად არჩევისთანავე მან განაცხადა, რომ დონბასისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება გამორიცხულია, კურსი ნატოსა და ევროკავშირისკენ შეუქცევადია, სტეპან ბანდერაც ეროვნული გმირია.

შრი-ლანკაში ტერაქტებზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო

შრი-ლანკაში მომხდარ ტერაქტებზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

ტერორისტული ორგანიზაციის განცხადებით, შრი-ლანკაში ტერაქტები ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა განახორციელეს.

21 აპრილს, კათოლიკური აღდგომის აღნიშვნისას ქვეყნის 3 ეკლესიაში აფეთქება მოხდა. გარდა ამისა, აფეთქება მოხდა ასევე 3 სასტუმროში. არსებული ინფორმაციით, ტერაქტები თვითმკვლელმა ტერორისტებმა განახორციელეს.

ტერაქტების შედეგად დაღუპულთა რიცხვი 310-მდე გაიზარდა, ხოლო 480 კი დაშავებულია.

გამოძიების ვერსიით, შრი-ლანკაში მომხდარი ტერაქტები ახალ ზელანდიაში მეჩეთებზე მომხდარ თავდასხმაზე პასუხია.

ამის შესახებ შრი-ლანკის მასმედიის საკითხებში მინისტრმა რუვან ვიჯევარდენემ განაცხადა.

– გამოძიებამ გამოავლინა, რომ აღდგომის დღეს ადგილობრივი ექსტრემისტების მიერ განხორციელებული თავდასხმა ახალ ზელანდიაში მეჩეთებზე თავდასხმაზე პასუხია, – განაცხადა მინისტრმა.

ბულგარეთში ჟურნალისტის მკვლელს 30 წელი მიუსაჯეს

ბულგარეთის ქალაქ რუსეში ვინმე სევერინ კრასიმიროვი გაასამართლეს. მას ბრალად ედებოდა ჟურნალისტ ვიქტორია მარინოვას გაუპატიურება და მკვლელობა.

გამოძიებით დამტკიცდა, რომ კრასიმიროვს პოლიტიკური მოტივი არ ამოძრავებდა. ის მარინოვას ეარშიყებოდა, ქალმა კი ცივი წყალი გადაასხა. მაშინ კრასიმიროვმა მისი ძალით დაუფლება სცადა. ქალმა წინააღმდეგობა გაუწია და გაუპატიურებისას კრასიმიროვს ის შემოაკვდა.

სასამართლომ სევერინ კრასიმიროვს 30 წლით პატიმრობა მიუსაჯა.





მადურომ რუსებს ლენინის დაბადების დღე მიულოცა

ვენესუელის პრეზიდენტმა მადურომ რუსეთს ვ.ი. ლენინის დაბადების დღე მიულოცა. სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ მხოლოდ რუსი ხალხის წიაღში შეიძლებოდა დაბადებულიყო ისეთი პიროვნება, როგორიც ლენინია.

– იმედი გვაქვს, რომ დღევანდელი რუსეთი არ მიატოვებს ვენესუელას, რომელიც ამერიკული იმპერიალიზმის წინააღმდეგ იბრძვის, – თქვა მადურომ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ნიჩბოსნებმა გედი გააბრაზეს და ინანეს

დიდ ბრიტანეთში აგრესიული გედი თავს ნიჩბოსნებს დაესხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

შემთხვევა რამდენიმე დღის წინ კანოეთი ნიჩბოსნობაში საერთაშორისო მარათონის დროს მოხდა. პიტერ სტრონგი უილტშირის საგრაფოს სოფელ მარდენში კენეტ-ეივონის არხის გასწვრივ სეირნობდა და შენიშნა, თუ როგორ დაესხა თავს გედი სპორტსმენებს.

– დაახლოებით ათი ნავი მიცურავდა და გედი ყოველ მათგანს ესხმოდა თავს, – განაცხადა 58 წლის თვითმხილველმა.

მისი თქმით, გედი კანოეს უკანა ნაწილზე ჯდებოდა და ფრთებს აქტიურად იქნევდა. სტრონგის მტკიცებით, ნიჩბოსნების უმრავლესობა არ დაშავებულა. თუმცა ერთ-ერთმა სპორტსმენმა ფრინველის გაგდება ცადა, წონასწორობა დაკარგა და წყალში ჩავარდა.

– მას ფრინველის შეშინება სურდა, – განმარტა სტრონგმა, – ნავის წინა ნაწილში გოგონა იჯდა. ის ვერც კი მიხვდა, თუ რა მოხდა, სანამ უკან არ მიიხედა. ამის შემდეგ ის ნიჩბოსნის წყლიდან ამოსვლაში დაეხმარა.

სპეციალისტების აზრით, გედი ნიჩბოსნებს თავს იმისთვის ესხმოდა, რომ ისინი არხიდან გაეყარა და ამით საკუთარი ტერიტორია დაეცვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბითაძე და შერმადინი დამარცხდნენ

გოგა ბითაძე ადრიატიკის ლიგის ჩემპიონობას ვერ შეწვდა. ფინალური სერიის მე-5, გადამწყვეტი შეხვედრა პოდგორიცელებმა მტრულ გარემოში, ბელგრადის ალეკსანდარ ნიკოლიჩის დარბაზში უშანსოდ 54:97 წააგეს და შარშან მოგებული ადრიატიკის ჩემპიონობა ცრვენა ზვეზდას დაუთმეს.

ბელგრადში დაგეგმილი შეხვედრა ერთსაათიანი დაგვიანებით დაიწყო, რისი მიზეზიც სტუმარი კალათბურთელებისა და მასპინძელი ფანების დაპირისპირება გახდა. ადგილობრივი გულშემატკივრები მოედანზე სხვადასხვა ნივთებსაც ისროდნენ, ბოლოს კი, საერთოდ ბუდუჩნოსტის კალათბურთელებს შეუვარდნენ მოედანზე.

საბოლოოდ, ბუდუჩნოსტი მტრულ გარემოში თამაშს მაინც დათანხმდა, თუმცა, სჯობდა, მოედანზე საერთოდ არ გასულიყო. ცრვენა ზვეზდამ მეტოქე უბრალოდ გაანადგურა, 43-ქულიანი სხვაობით აჯობა და ევროლიგის საგზურიც დაიბრუნა.

ბითაძე მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 17 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. 19 წლის ქართველმა ცენტრმა 3-დან 2 ორქულიანი და 7-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა.

სავარაუდოა, რომ ამიერიდან გოგა ისევ მეგა ბემაქსს შეუერთდება და სერბეთის ჩემპიონატის ფლეი ოფში ითამაშებს, 20 ივნისს კი ნბა-ს დრაფტი ელის.

გიორგი შერმადინის უნიკახამ ესპანეთის ჩემპიონატის 27-ე ტურში

ერთ-ერთ აუტსაიდერთან წაიფორხილა. მალაგელები სტუმრად შეხვდნენ გასავარდნ ზონაში მყოფ ბრეგანს და 75:83 წააგეს.

ქართველი ცენტრი სათადარიგო იყო და მოედანზე 15 წუთით გამოჩნდა. გიორგიმ 3-დან 2 ორქულიანი მიითვალა და შეხვედრა 4 ქულით, 2 მოხსნით, 1 პასით, 1 ჩაჭრითა და 1 დაფარებით დაასრულა. შერმადინმა მოედანი 5 პერსონალურის გამო დატოვა.

16 მოგებითა და 11 მარცხით უნიკახა მე-5 ადგილზეა. შემდეგი მატჩი კი შინ ბურგოსთან ელის.

ლევან სეთურიძე: „უცხოურ კავშირებს აქტიურად გამოვიყენებ“

რამდენიმე დღის წინ, საბურთალოს სპორტულ დირექტორად ლევან სეთურიძე დაინიშნა. სეთურიძე ნიჭიერი ახალგაზრდაა, კარგი კონტაქტებით და ფეხბურთისადმი სიყვარულითა და თანამედროვე ფეხბურთში კარგად ერკვევა, დამთავრებული აქვს ჯიპას საფეხბურთო მენეჯერის კურსები.

რა გეგმები აქვს და როგორ ფიქრობს საბურთალოს განვითარებას, ამაზე თავად გვესაუბრება.

ლევან სეთურიძე:

– ვისარგებლებ შემთხვევით და კლუბის ხელმძღვანელობას მადლობას გადავუხდი იმ ნდობისთვის, რომელიც ჩემ მიმართ გამოიჩინეს. სპორტულ დირექტორად მუშაობა ძალიან დიდი გამოწვევა და პატივია. ამ ნდობის გამართლებას ვეცდები. საბურთალოში სპორტული საკითხების მიმართულებით ვიმუშავებ. კლუბის ხელმძღვანელების ხედვა, ჩემს ხედვებს ემთხვევა. მჯერა, ერთობლივად ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ, რომელიც შემდგომ წარმატებებს მოგვიტანს.

– სამომავლო გეგმებზე რომ გვითხრათ?

– ამ ეტაპზე კლუბის გაცნობის სტადიაში ვარ. რა თქმა უნდა, მონახაზი და გეგმა მაქვს, ბევრი საინტერესო პროექტი იგეგმება, თუმცა ყველაფერი ეტაპობრივად გახდება ცნობილი.

– აქტიურად თანამშრომლობთ იტალიის, ესპანეთისა და სხვა წამყვანი ქვეყნების საფეხბურთო წარმომადგენლებთან. ალბათ, ამ ურთიერთობებსაც გამოიყენებთ.

– რა თქმა უნდა. ევროპის წამყვან საფეხბურთო კლუბებთან საქმიანი ურთიერთობები მაკავშირებს. მინდა, ჩემი რესურსი საბურთალოს მოვახმარო. საუბარი მაქვს, როგორც პირველ და მეორე, ასევე აკადემიის გუნდებზე.

– საინტერესოა, როგორ მოხდა თქვენი და საბურთალოს დამეგობრება?

– გარკვეული დრო იტალიაში

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მეორე წრის სტარტზე: ეროვნული ლიგის კონტურები

დასრულდა საქართველოს ეროვნული ლიგის პირველი წრე. რა შეიძლება ითქვას და რა კონტურები გამოიკვეთა...

მედლებისთვის 4 გუნდი იბრძოლებს: საბურთალო, ქუთაისის ტორპედო, თბილისისა და ბათუმის დინამოები.

გასული წლის ჩემპიონმა საბურთალომ შარშანდელი შედეგი გაიმეორა და პირველი წრე პირველი ადგილით დაასრულა. ქულებიც ანალოგიური აიღო – 21. გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდები შეკრული, შეთამაშებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ. თუმცა, პერიოდულად ჩავარდნები აქვთ. ერთია, მსგავსი ფაქტორით სხვა გუნდებიც „გამოირჩევიან“, ამიტომაც ლიდერობს საბურთალო.

სიმპათიური გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს ბათუმის დინამო. ზღვისპირელებმა სეზონის სტარტზე ზედიზედ 2 შეხვედრა წააგეს, მაგრამ შემდეგ 7-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდათ და ახლა მე-2 ადგილზე იწონებენ თავს. გია გეგუჩაძის გუნდში ლიდერებად ბრაზილიელები – გაბრიელ რამოსი და ჯოვინო ფლამარიონი გვევლინებიან. მათზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

მე-3 ადგილზე ტორპედოა. საუბარი იყო გუნდის ფინანსურ პრობლემებზე და გუნდმაც სწორედ იმ პერიოდში წააგო 2 მატჩი. აქედან ერთი დაუგეგმავი, შინ, ლოკომოტივთან. სწორედ ამის გამო ახლა ლიდერს 4 ქულით რომ ჩამორჩება. არადა, რიონისპირელებს ურიგო შემადგენლობა ნამდვილად არ ჰყავთ და მეტის ამბიცია გააჩნიათ.

ხასიათის გუნდია თბილისის დინამოც. ქართული ფეხბურთის ფლაგმანს ჩავარდნები ახასიათებს და ეს ბოლო ტურშიც გამოჩნდა, როდესაც ვიტ ჯორჯიასთან დათმო. ცხადია, დედაქალაქელები შემადგენლობით სხვა გუნდებს არ ჩამორჩებიან, თუმცა უკეთესი ლეგიონერების ნახვის სურვილიც გვაქვს. დინამოს ამის წინაპირობა ნამდვილად აქვს, მაგრამ...

ლიდერებთან ახლოს არის საჩხერის ჩიხურა. სამსონ ფრუიძე ისევ გვაოცებს. ამ მწვრთნელს შეუძლია ყოველი სეზონის დასაწყისში სხვებისგან დაწუნებული შეგროვებული ფეხბურთელებით მებრძოლი გუნდი შექმნას. ზემო იმერლებმა ლიდერთა ოთხეულთან კარგად ითამაშეს და მხოლოდ თბილისის დინამოსთან წააგეს, საბურთალოს კი – მოუგეს. ერთია, შედარებით სუსტ მეტოქეებთან სუსტი განწყობით გადიან მოედანზე და ქულებსაც ფლანგავენ. ამის გამო ვერ განვიხილავთ მედლებისთვის მებრძოლ გუნდად, ხოლო ელიგაში ადგილის შენარჩუნება ნამდვილად არ გაუჭირდება.

ჩიხურას ქვევით მყოფ 5 გუნდს კი, ნამდვილად მოუწევს ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლა. აქედან გამოკვეთილი აუტსაიდერი რუსთავია, რომელსაც ჯერ მოგება არ გააჩნია და 3 ქულით ბოლო ადგილზეა. ერთია, ქვემოქართლელები მე-2 წრეს ახალი მწვრთნელით ხვდებიან და იქნებ შეძლონ მდგომარეობის გამოსწორება. ბადრი კვარაცხელია რუსთაველთათვის კარგად ნაცნობმა ვარლამ კილასონიამ ჩაანაცვლა.

ვიტ ჯორჯია, ბოლნისის სიონი, თბილისის ლოკომოტივი და გორის დილა – თითქმის თანაბარი დონის გუნდები არიან, რომლებსაც ერთმანეთში მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა და იმ 2 გუნდის გამოვლენა, რომელიც ლიგაში დასარჩენად საქმეს გაირთულებს.

დღეს მე-2 წრე იწყება.

24 აპრილი

ჩუსთავი-ლოკომოტივი
19:00. რუსთავი. ტექნიკური ცენტრი

დინამო (ბთ)-საბუქითალო
21:00. ბათუმი. ანგისა

25 აპრილი

სიონი-ტორპედო
16:00. ბოლნისი. თამაზ სტეფანია

ჩიხურა-დინამო (თბ)
18:00. თბილისი. მიხეილ მესხი

ვიტ ჯორჯია-დილა
21:00. თბილისი. მიხეილ მესხი 2

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	9	7	0	2	21-12	21
2.დინამო (ბთ)	9	6	1	2	11-6	19
3.ტორპედო	9	5	2	2	11-8	17
4.დინამო (თბ)	9	5	1	3	15-7	16
5.ჩიხურა	9	3	5	1	12-7	14
6.ვიტ ჯორჯია	9	3	2	4	5-8	11
7.სიონი	9	3	2	4	12-18	11
8.დილა	9	2	2	5	7-10	8
9.ლოკომოტივი	9	2	0	7	10-17	6
10.რუსთავი	9	0	3	6	6-17	3

ჰოკეისტების ისტორიული გამარჯვება

საქართველოს ჰოკეის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ბ დივიზიონში მეორე მატჩი გამართა და ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. როლანდ სვანიძის გუნდმა მასპინძელი მექსიკა 3:2 დაამარცხა და ეს ამ დივიზიონში პირველი გამარჯვებაა.

მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა და ბოლომდე გაურკვეველი იყო, ვის დარჩებოდა 3 ქულა. პირველი პერიოდი ფრედ, 1:1 დასრულდა, მეორე პერიოდი ქართველებმა 1:0 მოიგეს, დასკვნით პერიოდში ჩვენები 3:1 დაწინაურდნენ, მაგრამ მექსიკელებმა შეამცირეს სხვაობა. თუმცა, საბოლოოდ სვანიძის გუნდმა მინიმალური სხვაობით იმარჯვა.

მატჩის გმირი ალეკსანდრ ვასილჩენკოა, რომელმაც ბრწყინვალედ იასპარეზა და ჰეთთრიკი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ვასილჩენკომ პირველ შეხვედრაში ჩრდილოეთ კორეასაც გაუტანა და მთლიანობაში, მის აქტივში უკვე 4 გატანილი შაიბაა.

სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: 2 ტურის შემდეგ 6 ქულით ლიდერობს ისრაელი, 3-3 ქულა აქვთ ისლანდიას, ახალ ზელანდიას, ჩრდილოეთ კორეასა და საქართველოს, ხოლო მექსიკის ნაკრები უქულოდ არის.

ჩვენი ნაკრების მიზანი ბ დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა და მექსიკელებთან გამარჯვება წინ გადადგმული ნაბიჯია. დიდი ალბათობით, გავარდნის თავიდან აცილებისთვის ჩვენები, მექსიკელები და ჩრდილოეთ კორეელები იბრძოლებენ.

ამისთვის კი საჭიროა, რომ გუნდი ჯგუფში ბოლო ადგილს ასცდეს. დღევანდელი სიტუაციით, საქმე გეგმიურად არის, მთავარია, მექსიკის ნაკრებმა არ მოუგოს ჩრდილო კორეის ნაკრებს. ასეთ შემთხვევაში ურთიერთშეხვედრების ფონზე, ბოლო ადგილზე გადავინაცვლებთ.

შედეგები

22 აპრილი
ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ჩელსი-ბარნლი 2:2

1.ლივერპული	35	27	7	1	79-20	88
2.სიტი	34	28	2	4	87-22	86
3.ტოტენჰემი	34	22	1	11	64-35	67
4.ჩელსი	35	20	7	8	59-38	67
5.არსენალი	34	20	6	8	68-43	66
6.მანჩესტერი	34	19	7	8	63-48	64
7.ევერტონი	35	14	7	14	50-44	49
8.უოტფორდი	34	14	7	13	49-49	49
9.ლესტერი	35	14	6	15	48-47	48
10.ვულვზი	34	13	9	12	41-42	48
11.ვესტ ჰემი	35	12	7	16	44-54	43
12.კრ.პალასი	35	12	6	17	43-48	42
13.ნიუკასლი	35	11	8	16	35-44	41
14.ბორნმუთი	35	12	5	18	49-62	41
15.ბარნლი	35	11	7	17	44-62	40
16.საუთჰემპტონი	34	9	9	16	40-57	36
17.ბრაიტონი	34	9	7	18	32-53	34
18.კარდიფი	35	9	4	23	30-65	31
19.ფულემი	35	6	5	24	33-76	23
20.ჰადერსფილდი	35	3	5	27	20-69	14

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ასტონ ვილა-მილუოლი 1:0

ბლექბერნი-ბოლტონი 2:0
დერბი-ქარ 2:0
იფსვიჩი-სუონსი 0:1
ნოტინგემი-მიდლსბრო 3:0
რედინგი-ვესტ ბრომვიჩი 0:0
როტერჰემი-ნოტინგემი 1:3
სტოკი-ნორვიჩი 2:2
უიგანი-პრესტონი 2:0
ჰალი-შეფილდი 0:3
უენსდი-ბრისტოლი 2:0
ბრენტფორდი-ლიდსი 2:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ვოლფსბურგი-აინტრახტი 1:1

1.ბაიერნი	30	22	4	4	79-29	70
2.დორტმუნდი	30	21	6	3	72-36	69
3.ლაიფციგი	30	18	7	5	57-23	61
4.აინტრახტი	30	15	8	7	58-35	53
5.გლადბახი	30	15	6	9	49-37	51
6.ჰოფენჰაიმი	30	13	11	6	65-41	50
7.ლევერკუზენი	30	15	3	12	53-48	48
8.ვერდერი	30	12	10	8	52-42	46
9.ვოლფსბურგი	30	13	7	10	48-45	46
10.ფორტუნა	30	11	4	15	40-59	37
11.ჰერტა	30	9	9	12	41-48	36
12.მაინცი	30	10	6	14	37-51	36
13.ფრაიბურგი	30	7	11	12	39-54	32
14.აუგსბურგი	30	8	7	15	46-55	31
15.შალკე	30	7	6	17	32-52	27
16.შტუტგარტი	30	5	6	19	27-67	21
17.ნიურნბერგი	30	3	9	18	24-56	18
18.ჰანოვერი	30	3	6	21	25-66	15

იტალია. სერია ა

ნაპოლი-ატალანტა 1:2

1.იუვენტუსი	33	28	3	2	67-23	87
2.ნაპოლი	33	20	7	6	62-30	67
3.ინტერი	33	18	7	8	51-27	61
4.ატალანტა	33	16	8	9	66-42	56
5.მილანი	33	15	11	7	47-31	56
6.რომა	33	15	10	8	58-46	55
7.ტორინო	33	13	14	6	42-29	53
8.ლაციო	33	15	7	11	47-35	52
9.სამპდორია	33	14	6	13	53-44	48
10.კალიარი	33	10	10	13	32-44	40
11.ფიორენტინა	33	8	16	9	47-41	40
12.სასუოლო	33	8	14	11	47-52	38
13.სპალი	33	10	8	15	34-47	38
14.პარმა	33	9	9	15	34-51	36
15.ჯენოა	33	8	10	15	35-52	34
16.ბოლონია	33	8	10	15	34-47	34
17.უდინეზე	33	8	9	16	31-47	33
18.ემპოლი	33	7	8	18	42-63	29
19.ფროზინონე	33	5	8	20	26-60	23
20.კიევო	33	2	11	20	24-68	14

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ვერონა-ბენევენტო 0:3
ბრეშა-სალერნიტანა 3:0
ასკოლი-ვენეცია 1:0
კარპი-პესკარა 0:0
კოზენცა-სპეცია 1:0
პალერმო-პადოვა 1:1
პერუჯა-ლეჩე 1:2
ფოჯა-ლივორნო 2:2
ჩიტადელა-კრემონეზე 1:3

ჰოხეგეია. ჰიმეიხა ლიგა

ბენფიკა-მარიტიმუ 6:0

ბელგია. ა დივიზიონი

ანტვერპენი-ბრიუგე 0:0
შარლერუა-ბეერსხოტი 4:0

თუჰეთი. სუპერლიგა

სივასი-ბეშიქთაში 1:2

პოლონეთი. ეკსტრაკლასა

ვისლა-პლოცკი 2:3
ლეგნიცა-სოსნოვეცი 2:2
გურნიკი-არკა 1:0
კორონა-სლასკი 2:0

დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი 0:3
მიდტიულანდი-ბრონდბიუ 1:2
ჰობრო-ვენხიუსელი 3:2
რანდერსი-ოლბორგი 0:2

ნორვეგია. ელიტსერია

ბოდო გლიმდტი-სარპსბორგი 1:1
კრისტიანსუნდი-რანჰეიმი 0:0
ლილესტრიომი-მიოლდე 0:2
მიონდალენი-ტრომსო 1:1
რუსენბორგი-სტრომგოდსეტი 0:0
ჰაუგესუნდი-სტაბეკი 3:0
ბრანი-ვალერენგა 1:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

სეინეიოკი-ილვესი 0:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

2019, 24 აპრილი, №96

სატრანსფერო ჭორ-მართალი

გარეთ ბეილისთვის, დიდი ალბათობით, მიმდინარე სეზონი მადრიდის რეალში უკანასკნელი იქნება. კრიშტიანუ რონალდუს წასვლის შემდეგ, უელსელი ფეხბურთელისგან გუნდის ლიდერობას ელოდნენ, თუმცა ტოტენჰემის ყოფილმა შემტევმა შესაბამისი უნარ-ჩვევები ვერ გამოავლინა, კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი სეზონი აჩვენა და სამეფო კლუბის დატოვებას უახლოვდება.

ესპანურ მედიაში ბევრს საუბრობენ 29 წლის ფეხბურთელის მომავალზე და მას ხან მიუნხენის ბაიერნს, ხან მანჩესტერ იუნაიტედს და ხანაც ყოფილ კლუბებს უკავშირებენ.

აქამდე არსებობდა ყველაზე სარწმუნო ვერსია, რომ ბლანკოსები ბეილს ტოტენჰემს დაუბრუნებდნენ და სანაცვლოდ ჰარი კეინს ან კრისტიან ერიქსენს მიიღებდნენ, თუმცა ესპანური მედია სულ სხვა ვარიანტს განიხილავს.

შესაძლოა, ბეილმა კლუბი იჯარის წესით დატოვოს, ისევე, როგორც ეს ხამეს როდრიგესის შემთხვევაში მოხდა. კოლუმბიელი ბაიერნში 2 წლით გაანათხოვრეს, რეკორდმაისტერს კი მისი გამოსყიდვა 42 მილიონი ევრო დაუჯდება.

რაც შეეხება ბეილის განათხოვრებას, ცოტა უცნაურია, თუმცა მადრიდელები შესაძლოა ჩემპიონშიფის ბინადარ გუნდებს პორტსმუტს ან ბირნინგემ სიტის შეუთანხმდნენ. ბეილს ყოფილი კლუბის მთავარი მწვრთნელი ჰარი რედნაპი პრემიერლიგაში დაბრუნების გასაღებად მიიჩნევს.

ბეილმა რეალში 6 სეზონი გაატარა და ამ დროში არაერთი ტიტული მოიგო. მათ შორის, 4 ჩემპიონთა ლიგა, 3 ევროპის სუპერთასი, 4 მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, ერთი ლა ლიგა და ასევე თითო-თითო ესპანეთის თასი და სუპერთასი.

თავად რეალს კი, ჩელსიდან ედენ აზარის გადაბირება სურს. ცნობილია, რომ ბლანკოსში გადასვლის წინააღმდეგი არც თავად ბელგიელია. ბოლო ინფორმაციით, ყველაფერი ჩელსიზეა დამოკიდებული და თუ გუნდები ფასზე შეთანხმდებიან, აზარი რეალის ფეხბურთელი გახდება.

აქედან გამომდინარე, არისტოკრატებმა მეათე ნომრის შემცვლელზე დაიწყეს ფიქრი. გავრცელებული ინფორმაციით, ლონდონელებს ბარსელონადან ფელიპე კოუტინოს გადაბირება მოუწადინებიათ.

ბრაზილიელი ესპანურ გრანდს შარშან ზამთარში, ლივერპულიდან შეუერთდა. ცნობილია, რომ იგი უკმაყოფილოა სათამაშო დროით, რაც გუნდში ეძლევა და კატალონიელთა დატოვებასაც არ გამორიცხავს.

მიმდინარე სეზონში კოუტინიომ 48 მატჩი ჩაატარა, სადაც თავი 11 გოლითა და 5 საგოლე გადაცემით გამოიჩინა.

დიდი ამბებია ატეხილი მაურო იკარდიზე, რომლის ინტერიდან წასვლა თითქმის გადაწყვეტილია და ყველაფერი უახლოეს ხანებში გაირკვევა. ცნობილია ისიც, რომ მაუროს ნერაძურისთან ხელშეკრულების გახანგრძლივება არ სურს.

ბოლო ინფორმაციით, სამხრეთ ამერიკელით პსჟ არის დაინტერესებული. ფრანგები ფორვარდს ედინსონ კავანის მთავარ შემცვლელად მოიაზრებენ, რომელიც დიდი ალბათობით ტუხელის გუნდს დატოვებს. იტალიური მედიის ცნობით, ლიგა 1-ის ჩემპიონები მზად არიან, ფეხბურთელში 70 მილიონი ევრო გადაიხადონ.

იკარდი ინტერში 2013 წლის ზაფხულში სამპდორიადან გადავიდა. იგი მალევე გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა და დღეს ნერაძურის კაპიტანია. აქვე გეტყვით, რომ პსჟ-ს გარდა იკარდის შეძენა მანჩესტერის, რეალისა და ჩელსის მესვეურებსაც სურთ. ამ სეზონში მეცხრე ნომერმა 32 შეხვედრა ჩაატარა და 16 გოლი გაიტანა.

პრინც ჰარისა და მეგან მარკლს რამდენიმე წლით აფრიკაში გაუშვებენ

პრინცი ჰარი და მისი მეუღლე მეგან მარკლი, შესაძლოა, თავიანთი პირველი ბავშვის დაბადების შემდეგ აფრიკაში გაემგზავრონ.

ბუკინჰემის სასახლემ სამეფო წყვილი, შესაძლოა, ორი-სამი წლით გაუშვას აფრიკაში, სადაც ისინი ქველმოქმედებითა და ბრიტანეთის „განდიდებით“ იქნებიან დაკავებული.

– ამ საკითხზე მსჯელობა ადრეულ სტადიაშია, მაგრამ გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ მათი შესაძლებლობის „მსუბუქი ძალის“ გამოყენების ახალ საშუალებას მივაგნოთ, სავარაუდოდ, აფრიკაში, – განაცხადა სამეფო ოჯახთან დაახლოებულმა პირმა.

სასახლეში პრინც ჰარისთვის სპეციალური როლის გამოძებნა სურთ, ვინაიდან მისი უფროსი ძმა უილიამი უკვე იწყებს მზადებას ტახტზე ასასვლელად. გარდა ამისა, ძმისა და მისი მეუღლის გამგზავრება მათ თავიდან აარიდებს კონფლიქტებს სამეფო ოჯახში.

სავარაუდოდ, გადაწყვეტილება, თუ სად იცხოვრებენ პრინცი ჰარი და მისი მეუღლე, 2020 წლამდე არ იქნება მიღებული. ვარიანტებს შორისაა ლესოტო, ბოტსვანა, მალავი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. ბუკინჰემის სასახლე ხელისუფლებასთან ერთად იმსჯელებს წყვილის საზღვარგარეთ ცხოვრებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაფინანსებაზე.

ძებნილი დამნაშავე კურორტზე ცხოვრებამ დაღალა და პოლიციას ჩაჰბარდა

ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში დააკავეს გაქცეული პატიმარი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში თავს კანარის კუნძულებს აფარებდა.

64 წლის მამაკაცი ორი ჩანთით რკინიგზის სადგურში თავად მივიდა პოლიციელებთან და განუცხადა, რომ ათ-ნახევარი წლის წინ ციხიდან გაიქცა. მთელი ამ დროის განმავლობაში ის კუნძულ ტენერიფეზე ცხოვრობდა.

გაქცეულმა ძებნილმა იმიტომ გადაწყვიტა, სამართალდამცავებს ჩაჰბარებოდა, რომ კურორტზე ცხოვრებამ დაღალა. მან განმარტა, რომ ახლა ტენერიფე ისეთი აღარ არის, როგორიც ადრე იყო და ის დროც საკმარისი იყო მისთვის, რომელიც მან იქ გაატარა.

შემოწმებამ დაადასტურა, რომ გაქცევამდე მამაკაცი ავსტრიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ციხეში იხდიდა სასჯელს. რა დანაშაული ჰქონდა მას ჩადენილი და პატიმრობის რამდენი წელი ჰქონდა მისჯილი, ამის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

ლევან სეთურიძე: „უცხოურ კავშირებს აქტიურად გამოვიყენებ“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ვცხოვრობდი. როდესაც იქ კლუბებთან ურთიერთობებს ვამყარებდი, გიორგი ჭიაბრიშვილთან ხშირად მქონდა კომუნიკაცია, ვუზიარებდით ერთმანეთს აზრებს. ამ ყველაფერმა უფრო სერიოზული სახე მიიღო, რის შემდეგაც მოხდა შემოთავაზება, რომელსაც სიამოვნებით დავთანხმდი.

– როგორი ჩანდა გარედან საბურთალო და როგორია ახლა, როდესაც უშუალოდ ხართ ჩართული კლუბის ყოველდღიურ ცხოვრებაში?

– საბურთალო ჩემთვის ყოველთვის წარმატებული, პროგრესირებადი კლუბი იყო, მზარდი და პერსპექტიული. ამ კლუბის მთავარი ღირებულება წესიერება და პატიოსნებაა. „საბურთალოს“ ხელმძღვანელებს ფეხბურთისადმი სწორი მიდგომა აქვთ, რაც აუცილებლად მოიტანს შედეგს.

– იფიქრებდით, რომ ისეთი პატარა კლუბი, როგორიც საბურთალოა, საქართველოს მასშტაბით ასეთ წარმატებას მიაღწევდა და დადგებოდა დრო, როდესაც ქვეყნის ჩემპიონი გახდებოდა?

– როდესაც საბურთალო ყალიბდებოდა, ამ გუნდში მეც ვთამაშობდი. გუნდი ყოველწლიურად იზრდებოდა, წინსვლა იგრძნობოდა. ჰქონდა გრძელვადიანი გეგმა, რომელიც ყოველთვის ასწრებდა მოვლენებს. საბურთალომ საქართველოში შექმნა უპრეცედენტო მოვლენა, როდესაც თავისი აღზრდილი ფეხბურთელებით მოახერხა პირველი ლიგიდან უმაღლესში გადასვლა. ახლა, საბურთალო განვითარების ახალ ეტაპზე დგას. წინ დიდი გამოწვევებია, რომელსაც, ვფიქრობ, ღირსეულად გაართმევს თავს.

მოსწავლემ ისტორიაში ყველაზე დიდი ზვიგენის კბილი იპოვა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატში აღმოაჩინეს ზვიგენი-მეგალოდონის კბილი, რომელიც მილიონი წლის წინ გადაშენდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ევერი ფოსი ოჯახთან ერთად ონსლოუს ოლქში პლაჟზე სეირნობდა, როდესაც უჩვეულო საგანი შენიშნა.

– ირგვლივ ვიყურებოდი და უცბად ქვიშაში რაღაც ჩაფლული საგანი შევნიშნე, – იხსენებს გოგონა, – მისი ამოთხრა დავიწყე და ის დიდი კბილი აღმოჩნდა. ავიღე და დედას ვაჩვენე.

ევერის მამამ აღიარა, რომ 25 წლის განმავლობაში ზვიგენის კბილების ძებნით იყო დაკავებული, თუმცა წარმატებას ერთხელაც ვერ მიაღწია, მსგავსი რამ ვერ იპოვა.

ამერიკელი 46 დღე მხოლოდ ლუდით იკვებებოდა

ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ ნიუთაუნის მცხოვრებმა დელ ჰოლმა დიდი მარხვის 46 დღე მხოლოდ ლუდით კვებაზე გაატარა და წონაში 20 კილოგრამი დაიკლო.

ჰოლმა მარხვა 6 მარტს დაიწყო და კვირას, 21 აპრილს დაასრულა, კათოლიკური აღდგომის დღეს. მას ამისკენ მიუნხენის მახლობლად მდებარე მონასტრის მკვიდრი ბერების მაგალითმა უბიძგა, რომლებიც შუა საუკუნეებში მარხვის დროს მხოლოდ მათ მიერვე დამზადებული ლუდით იკვებებოდნენ. სასმელის სიმაგრე 12 გრადუსს აღწევდა.

ლუდის გარდა, ჰოლი ზოგჯერ უშაქრო ჩაის, შავ ყავასა და გაზიან სასმელს სვამდა, ასევე იღებდა მულტივიტამინებს. დღეში მამაკაცი ორიდან ხუთ ბოთლამდე ლუდს სვამდა. მისი მტკიცებით, ის ვერ გრძნობდა ვერც შიმშილსა და ვერც თრობას,

თუმცა ზოგჯერ საჭმელი ესიზმრებოდა.

მარხვის დასაწყისში ამერიკელი 132,6 კილოგრამს იწონიდა. მან ერთ-ერთ გამოცემასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ თავს შესანიშნავად გრძნობს. მისი მტკიცებით, ასეთი მარხვის შემდეგ მისი ჯანმრთელობა გაუმჯობესდა, ორგანიზმში ქოლესტერინის, წნევისა და შაქრის დონე შეუმცირდა. **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

ასტროპროგნოზი

24 აპრილისთვის

ვერძი – ოჯახური ურთიერთობები კონფლიქტურია. აგრესია სრულ კრახს გამოიწვევს. საყვარელ ადამიანებს მეტი სითბო აჩუქეთ. **კურო** – თქვენი გეგმების შესახებ ნურავის უამბობთ, შესაძლოა, მათ განხორციელებას ვინმემ ნებსით თუ უნებლიეთ ხელი შეუშალოს. **ტყუპები** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან დაძაბული ურთიერთობა გაქვთ. ეცადეთ, ემოციები არ გამოავლინოთ. **კირჩხიბი** – მზად იყავით არასასიამოვნო მოულოდნელობისათვის. ოჯახის წევრებთან პრინციპულობა არ ივარგებს. **ლომი** – ქალაქგარეთ გასვლისაგან თავი შეიკავეთ. საქმიან პარტნიორს პრეტენზიებს ნუ წაუყენებთ. **ქალწული** – დღე, სავარაუდოდ, მძიმე იქნება. ეცადეთ, უფროსობასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ. **სასწორი** – მთლიანობაში, წარმატებული პერიოდია. სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტა მოგიწევთ. ახალი ნაცნობობა იღბლიანი იქნება. **ღრიანკალი** – ძალზე აქტიური და საქმიანი დღეა. მიუხედავად დაბრკოლებებისა, დიდ წარმატებებს მიაღწევთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ სიცრუეს, რაც, შესაძლოა, კონფლიქტის მიზეზი გახდეს. თქვენს საქმეში სხვას ნუ ჩარევთ. **თხის რქა** – უსიამოვნო ინფორმაცია ცუდ გუნებაზე დაგაყენებთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობა გეცვლებათ. **მერწყული** – ოჯახში ფსიქოლოგიური კლიმატი მთლიანად თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. ემოციები და საუბრის მანერა აკონტროლეთ. **თევზები** – დაისვენეთ, მიიღეთ სრულფასოვანი საკვები, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე. ერიდეთ ყოველგვარ ნეგატივს.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ხახვით, ძმრითა და პილპილით შეზავებული სამწვადე ხორცი; 2. აღმოსავლური ტკბილეული; 3. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია ევროკავშირის შტაბ-ბინა; 4. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი გვერდი; 7. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 9. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 12. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 14. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 15. ჟრუგვაის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 17. მონასტერი ჯავახეთში; 20. ბაღჩეული ხილი.

თარაზულად: 5. აეროპორტი მადრიდში; 6. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 8. სიახლის შემოტანა რაიმე საქმეში; 10. ისტორიული მოედანი ლონდონში; 11. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 13. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 16. ქართველი ტელეჟურნალისტი ქალი; 18. სუბტროპიკული ხილი; 19. ერისთავის პიესა; 21. სტადიონი ლონდონში; 22. თბილისელი სახალხო მკურნალი, დასტაქარი; 23. ორადგილიანი ველოსიპედი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. შოკი; 2. ოდა; 3. ჩოჩიშვილი; 4. აჯიკა; 5. ჰორაციო; 8. კოღო; 9. პირუეტი; 10. ბაიადერა; 12. ფიასკო; 13. გრამი; 15. აჭარა.

თარაზულად: 1. შავლეგო; 6. სოლფეჯიო; 7. კუკია; 10. ბრიჯი; 11. აღაპი; 13. გაუდა; 14. მზაღო; 16. სოდა; 17. იავნანა; 18. არმანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰონოლულუ; 2. სალდო; 7. გუჯაბიძე; 4. ჩინური; 7. ამური; 9. აზარი; 12. ადრენალინი; 14. სენსეი; 15. ძელშავი; 17. არქტიკა; 20. ნუჟრი.

თარაზულად: 5. მონბლანი; 6. მაუზერი; 8. ბოდრუმი; 10. კაროტინი; 11. ალმაზა; 13. ავენიდა; 16. დინდგელი; 18. კრინი; 19. ჯინსი; 21. ჟუდეცი; 22. ავლაბარი; 23. მირკანი.

ნატა გულიაშვილი ლევან ჯიბღაშვილს მხარდაჭერას უცხადებს

მსახიობი ნატა გულიაშვილი კოლეგას ლევან ჯიბღაშვილს მხარდაჭერას უცხადებს. ლევანი ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს. მისი მანქანიდან სამართალდამცველებმა ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

ნატა დარწმუნებულია, რომ გაუგებრობას აქვს ადგილი და ყველაფერს მალე აეხდება ფარდა:

– არიან საქართველოში ადამიანები, რომლებსაც ლევანის წარმატებული ბიზნესი არ მოსწონდათ. ყველაფერს მალე აეხდება ფარდა. ზუსტად ვიცი, ლევანი მალე დაგვიბრუნდება.

მიშა ქირია მსოფლიოში გერმანიის სახელით წარდგება

ოპერის მომღერალმა მიშა ქირიამ გადაწყვიტა, მსოფლიოს საოპერო სცენებზე გერმანიის სახელით წარდგეს:

– დღევანდელ დღეს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის შენობის უკან, მამაჩემის და მისი მეგობრების ხელით აშენებული რესტორანი, სადაც ელექტროენერგია არ იყო, რადგან 1-2 წლის წინ რამდენიმეტონიანი ტრანსფორმატორი დაშალეს და მოიპარეს, ამ წუთებში იწვის!

იჯარა არ გაგვიგრძელეს და ამოსყიდვის საშუალება არ მოგვცეს. შენობა და მიმდებარე ტერიტორია, რაც ჩვენ გავაკეთეთ, ვანდალურად გაქურდეს. ჩემსას წვავენ და მე ქვეყნის სახელი გამაქვს მის ფარგლებს გარეთ.

ამ წლის ბოლოდან, როგორც კი მოვაგვარებ ბიუროკრატიულ საკითხებს, გერმანიის სახელით წარვდგები უცხოური მსმენელის წინაშე. წარმატებებს გისურვებთ ყველას, თქვენი მიშა.

ოპერის ბაღში ბალერინები განადგურებულია

თბილისში, ოპერის ბაღში ბალერინების შადრევანი დგას, რომელიც მოუვლელი და გავერანებულია.

ინფორმაცია და ფოტოები მოქანდაკე **ირაკლი ჟვანიამ** გაავრცელა:

– რუსთაველის გამზირზე, ოპერის ბაღი... ჩვენი ბალერინები, გაველანებული გოგოები. ამ ჩინოვნიკებს არ ესმით, როგორ განიცდი კაცი, როდესაც შენს ნაფიქრალს ასე ექცევიან. არც ის ესმით, რომ ამას ათასი კაცი უყურებს, ჩვენიც და ჩამოსულიც.

სამგლოვიარო განცხადებები

გივი ჭიხონის ძე კოხრეიძე

გარდაიცვალა სოხუმის საზოგადოებისთვის მეტად პატივსაცემი და ღირსეული პიროვნება გივი კოხრეიძე.

იგი დაიბადა 1926 წლის 13 თებერვალს ქ.ქუთაისში. იქვე წარჩინებით დაამთავრა რკინიგზის №12 საშუალო სკოლა, 1948 წელს კი თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტი.

1948-53 წლებში მუშაობდა უკრაინაში, სტალინოს ოლქში, ომისშემდგომ დანგრეული რკინიგზის ობიექტების აღდგენაზე; 1953-1962 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტში: სამუშაოს მწარმოებლად, უბნის მთავარ ინჟინრად, სამმართველოს მთავარ ინჟინრად ქ.გაგრაში, გუდაუთაში, სოხუმში.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა ვაგზლის შენობები ახალ ათონსა და აძღერში, სოხუმის რკინიგზელთა კულტურის სახლი, ელექტროფიცირებულია სოხუმი-სოჭის რკინიგზის მაგისტრალი.

1962 წლიდან 1993 წლამდე მუშაობდა სოხუმის ფიზიკო-ტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო სამმართველოს უფროსად, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ მშენებლობისა და საერთო ნაწილში. ამ პერიოდში აშენებული აქვს მრავალი უნიკალური ლაბორატორიული კორპუსი, საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღები, წყალმომარაგების სისტემები, სკოლები.

გივი კოხრეიძეს მინიჭებული აქვს საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდებები.

გივი კოხრეიძე არაერთხელ იყო არჩეული სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით, მრავალი მედლითა და საპატიო სიგელით.

მისი ღვაწლი და კეთილშობილება მუდამ ემახსოვრება ყველას, ვინც ბატონ გივის იცნობდა.

მეგობრები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ნონა გაფრინდაშვილზე, ნანა ალექსანდრიაზე, მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანზე ფილმს იღებენ

ლეგენდარულ ქართველ მოჭადრაკეებზე ნონა გაფრინდაშვილზე, ნანა ალექსანდრიაზე, მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანზე ფილმს იღებენ.

სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის სამუშაო სახელწოდებაა „შეხვედრა“ და მისი გადაღებები უკვე დაწყებულია. ფილმი ოთხი ქართველი მოჭადრაკე ქალის ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ისინი მსოფლიოში უძლიერესი მოჭადრაკე ქალები იყვნენ. მათ ქალთა ჭადრაკში ნამდვილი რევოლუცია მოახდინეს და მსოფლიო მასშტაბით მამაკაცთა ჭადრაკის დონეზე აიყვანეს.

ფილმში მსოფლიო ჭადრაკის ვარსკვლავების დღევანდელი ცხოვრება იქნება წარმოდგენილი და მაყურებელი მათი პროფესიული ბიოგრაფიის შესახებ უნიკალურ საარქივო მასალას იხილავს.

გადაღებები როდოსზე დაიწყო, მაისის ბოლომდე ფილმის გადაღებები თბილისსა და ვენაში იქნება, მისი დასრულება კი შემოდგომისთვის არის დაგეგმილი.

ლეგენდარულ ქალ მოჭადრაკეებზე ფილმის რეჟისორია ავსტრიაში მცხოვრები ქართველი მხატვარი და ვიზუალური არტისტი თათია სხირტლაძე, ხოლო თანარეჟისორი ანა ხაზარაძე.

შემოქმედებითმა ჯგუფმა მხოლოდ ერთი დღით მისცა საშუალება ჟურნალისტებს, გადასაღებ მოედანზე შესულიყვნენ და ფილმის მთავარი გმირების მონაწილეობით გადაღების პროცესი გაეშუქებინათ.

„შეხვედრა“ საერთაშორისო კოპროდუქციაა და მასში ქართული საპროდიუსერო კომპანიის გარდა, ავსტრიული კომპანიებიც მონაწილეობენ. ფილმმა დაფინანსება მოიპოვა საქართველოს ეროვნული კინოცენტრიდან, ავსტრიის კულტურის სამინისტროდან, ავსტრიული მაუწყებლისგან და სერბეთის კინო ცენტრიდან. პროექტმა ევრიმაჟის წარმოების დაფინანსების კონკურსშიც გაიმარჯვა.

ბორის ეიფმანი თბილისს ესტუმრა

ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბალეტმაისტერი, ქორეოგრაფიის რეჟისორად აღიარებული ბორის ეიფმანი თბილისს ესტუმრა. გიორგი ალექსიძის მოსწავლემ ბალეტის მოყვარულ საზოგადოებას საბალეტო სპექტაკლი „როდენი, მისი მარადი კერპი“ წარმოადგინა. ბალეტი დიდი ფრანგი მოქანდაკის ოგიუსტ როდენის და მისი მოსწავლის, შეყვარებულისა და მუზის კამილა კლოდელის ბედს და შემოქმედებას ეძღვნება.

ბორის ეიფმანმა და მისმა სანკტ-პეტერბურგის ბალეტმა სპექტაკლი თბილისში, ფესტივალის „თბილისი რიტმი“ 2019 წლის სეზონის ფარგლებში წარმოადგინა.

მარიამ ალექსიძე, გიორგი ალექსიძის შვილი, ქორეოგრაფი:

– დიდმა რეფორმატორ-ბალეტმაისტერმა, პროფესორ ფიოდორ ლოპუხოვმა, ბალეტში სიმფონიური აზროვნების ფუძემდებელმა, რომელიც მიხაილ ფოკინის მიერ ანა პავლოვასთვის „მომაკვდავი გედის“ შექმნის პროცესის მოწმე იყო, რომელმაც ორ ეპოქაში იცხოვრა, 1962 წელს ლენინგრადის კონსერვატორიაში გახსნა საბალეტმაისტერო ფაკულტეტი, რათა მომავალი ქორეოგრაფები მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობით ახლებური, თანამედროვე მეთოდით აღეზარდა.

იმავე წელს ჯორჯ ბალანჩინს ჩამოჰყავს თავისი დასი ლენინგრადში და განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, ხოლო ფიოდორ ლოპუხოვის ახლად შექმნილ ფაკულტეტზე პირველი თაობის აღსაზრდელებს შორის გიორგი ალექსიძე ხვდება. თავის მხრივ, გიორგი ალექსიძემ უკვე სტუდენტობისას ჩამოაყალიბა ალტერნატიული, ნოვატორული კამერული დასი და ამ იდეის ირგვლივ გააერთიანა ნამდვილი ვარსკვლავური შემადგენლობა: ალა ოსიპენკო, ნატალია მაკაროვა, ირინა კალპაკოვა, მიხაილ ბარიშნიკოვი და სხვები. „კამერული ბალეტის“ წამოწყების შედეგად ლენინგრადში მოხდა ერთგვარი იდეების ამოფრქვევა. ბევრმა უფრო თამამად დაიწყო დადგმა, გაჩნდა ანტერპრიზებისა და დასების დაფუძნების მცდელობები. სწორედ ამ პერიოდში ლოპუხოვი გიორგი ალექსიძეს, ჯერ კიდევ მეოთხე კურსის სტუდენტს, საბალეტმაისტერო კათედრაზე პედაგოგად იწვევს, ხოლო მისი ერთ-ერთი პირველი სტუდენტი ბორის ეიფმანი ხდება.

ბორის ეიფმანმა ქორეოგრაფიაში თავისებური გზა დაისახა. ის მუშაობს დიდი ფორმატის დრამატული, ფსიქოლოგიური ბალეტის ჟანრში, რომელიც სრულიად ახლებურად და თანამედროვედ განავითარა. ეიფმანის შემოქმედებაში შინაარსი აღემატება ზედაპირულ თხრობას და თანამედროვე საბალეტო პლასტიკის ენით, მაღალმხატვრული ხერხებითა და მიგნებებით გამოხატავს თავის მოფიქრებული სიუჟეტებისა თუ ლიტერატურული ნაწარმოებების მთავარ იდეებს. დრამბალეტებში აქამდე გამოყენებული დივერტისმენტებისა და ცეკვა მოქმედებების ფორმაც ირღვევა და ცეკვის დინამიკა ერთიანდება ერთ მთელ დრამატურგიულ ქარგაში. ეიფმანმა დაარღვია კლასიკური და მოდერნ ბალეტის დასების არსებული სტერეოტიპიც და ამ ორი მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი, ერთმანეთისგან განსხვავებული ესთეტიკის სინთეზით შექმნა და გაზარდა ბრწყინვალე დასი.

„მაგდანას ლურჯას“ კანის ფესტივალის მთავარი პრიზი არასდროს მიუღია – ვინ ავრცელებს სიცრუეს?

რეზო ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის ფილმს „მაგდანას ლურჯა“ კანის ფესტივალის მთავარი პრიზი არასდროს მიუღია, – აცხადებს კინომცოდნე გოგი დოლიძე და მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას სიცრუეს უწოდებს:

– მსახიობის კარლო საკანდელიძის დაბადების დღესთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, კიდევ და უკვე მერამდენედ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს შესანიშნავ ქართულ მოკლემეტრაჟიან ფილმს „მაგდანას ლურჯას“, რომლის ავტორებიც არიან თენგიზ აბულაძე და რეზო ჩხეიძე, თავის დროზე მიენიჭა საქვეყნოდ აღიარებული კანის ფესტივალის მთავარი პრიზი „ოქროს შტო“. რაც არ შეეფერება სინამდვილეს. თენგიზ აბულაძესა და რეზო ჩხეიძეს სრულიად დამსახურებულად, ღვთის მადლით, სახელი და დიდება არ აკლიათ, ამდენადაც მსგავსი არასწორი ინფორმაციის გავრცელება მეტად უღირსად ჟღერს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ვერც გაამტყუნებ ჟურნალისტებს, რადგან სწორედ ასე წერია ენციკლოპედია „საქართველოს“ პირველსავე ტომში, მაგრამ ამ საკითხზე იმდენჯერ გამომითქვამს პროტესტი ჩვენს პრესაში, რომ მიკვირს, მიტინგს ან გაფიცვას ხომ არ მოვაწყობ!

„მაგდანას ლურჯა“ მართლაც მონაწილეობდა 1956 წელს კანის სახელგანთქმულ ფესტივალში, მაგრამ მხოლოდ მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში, სადაც მთავარი პრიზი მოიპოვა ფრანგი რეჟისორის ალბერ ლამორისის ფილმმა „წითელი ბუშტი“, ხოლო ჩვენი ახალბედა რეჟისორების ფილმს წილად ხვდა პირველი პრემია, რაც, უსათუოდ, თავისთავად დიდი წარმატება იყო.

ლალი კანდელაკის საბალეტო სტუდია პლაგიატებმა იმსხვერპლეს

ბალერინა ლალი კანდელაკის მიერ დაარსებული საბალეტო სტუდია „პრიმა“ პლაგიატებმა იმსხვერპლეს.

ნინო ქილიფთარის საბალეტო სკოლამ თავისი სტუდიის რეკლამირებისთვის ზუსტად ის ტექსტი გამოიყენა, რომელიც ლალი კანდელაკის სტუდიას აქვს, რამაც ბალერინას სამართლიანი გაღიზიანება გამოიწვია:

– ეს არის არაპროფესიონალიზმი, ეს არის პლაგიატი!

ადამიანებს, რომლებსაც ელემენტარული ტექსტის მოფიქრება არ შეუძლიათ იმისათვის, რომ აღწერონ სტუდიის არსი, აზრი და ისაუბრონ მიმართულების შესახებ, საერთოდ რანაირად უნდა ასწავლონ თაობებს! პლაგიატი ისჯება კანონით!

სტუდიის შექმნის დღიდან, ტექსტი, რომელიც თან ახლავს ჩვენს გვერდს, არაერთხელ სხვადასხვა გზით დაკოპირდა სხვადასხვა სტუდიის გვერდზე, მაგრამ ასეთი ზუსტი კოპირება თავისი წერტილ-მძიმეთი, სირცხვილია, მეგობრებო! სირცხვილია თქვენი სტუდიის და იქ მომუშავე თითოეული ადამიანის!

პ.ს. მოგვიანებით ნინო ქილიფთარმა მომხდართან დაკავშირებით ბოდიში მოიხადა.

მსახიობი ნელი ბასილაშვილი გარდაიცვალა

მსახიობი ნელი ბასილაშვილი, რომელიც სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ ზაზას ბებიის როლს ასრულებდა, გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია მისმა მშობლიურმა ოზურგეთის თეატრმა გაავრცელა:

– მსახიობი ნელი ბასილაშვილი გარდაიცვალა. თითქოს მართლა ანგელოზმა მოუტანა ფრთები და ღრუბლებს გაჰყვა. მოულოდნელი და ტკივილიანი დილა გაგვითენდა მკაცრი რეალობით. ღმერთმა ნათელში დაგივანოს, ნელი. გვაპატიე, თუ ჩვენს სიყვარულს სათანადოდ ვერ გაგრძნობინებდით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

24 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.6975

ევრო — 3.0347

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5051

100 რუსული რუბლი — 4.2247

ამინდის პროგნოზი 24 აპრილისთვის

„ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ სერიას „მე მიყვარს კითხვა“

23 აპრილიდან

კარლო კოლოდი

პინოკიოს თავგადასავალი



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

16 აპრილიდან

მარკ ტვენი

პრინცი და მაწანწალა



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

12 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

19 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა ტომი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

იუმორი

მასწავლებელი გიგის ეკითხება:

– რას მივიღებთ, თუ რვას შუაზე გავყოფთ?

– თუ ვერტიკალურად, მაშინ ორ სამიანს მივიღებთ, ხოლო თუ ჰორიზონტალურად, მაშინ ორ ნულიანს.

•••

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, დიდი ხანია, ცოლთან არ ვწოლილვარ.

– და ბოლოს როდის გქონდათ სექსი ცოლთან?

– და აღარც მახსოვს. ერთ წუთს, ცოლს დავურეკავ და ვკითხავ...

ცოლს ურეკავს და ეკითხება:

– ალო! საყვარელო, ბოლოს როდის გვქონდა სექსი მე და შენ?

– რომელი ხარ?

•••

სექსის შემდეგ ქალი კაცს ეკითხება:

– ანესთეზიოლოგი ხომ არ ხარ?

– კი, საიდან მიხვდი?

– ვერაფერი ვიგრძენი.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ ხარ?

– ჩონგურივით.

– ეგ როგორ, კაცო?

– როგორ და მეც სამი ლარი მაქვს და ჩონგურსაც.

•••

პალატის კარზე აკაკუნებენ. შემოდის მედდა, ავადმყოფს საბანი გადახადა, ტრუსიკი ჩახადა, ერთი ადგილი გაუპარსა, მერე გადააბრუნა, ნემსი, ოყნა გაუკეთა და გადის. ამ დროს ავადმყოფი ეკითხება:

– კი მაგრამ, კარზე რატომღა აკაკუნებდით?

•••

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

– შენ ასეთი ღვთისმოსავი კაცი ყოფილხარ და რატომ სცემე იმ კაცს ასე სასტიკად?

– გამარტყა.

– მერე, არ იცი, ბიბლიაში რა წერია, ერთ ლოყაში რომ გაგარტყამენ, მეორე მიუშვირეო?

– მეც ეგრე მოვიქეცი და მეორე მივუშვირე.

– მერე?

– მეორეშიც გამარტყა.

– მერე?

– რა მერე, იქ მეორე ლოყაზე არაფერი წერია...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პოლ პოგბა: „ევერტონთან სამარცხვინოდ ვითამაშეთ“

მანჩესტერ იუნაიტედის ნახევარმცველმა პოლ პოგბამ ევერტონთან მარცხზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა ეს შეხვედრა სამარცხვინოდ ჩაატარა და ასეთი რამ არ უნდა განმეორდეს:

– ჩვენ ისე ვითამაშეთ, თითქოს სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე ვიყოთ და ეს ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია. გულშემატკივარს მინდა დავპირდე, რომ მსგავსი თამაში არ განმეორდება.

ოთხშაბათს მანჩესტერ იუნაიტედი სიტის დაუპირისპირდება და ეს შეხვედრა ბევრი თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით – ჩემპიონობისთვის ბრძოლაში.

სარაგოსამ, შესაძლოა, გიორგი პაპუნაშვილი გაყიდოს

სარაგოსამ, შესაძლოა, ქართველი შემტევი გიორგი პაპუნაშვილი გაყიდოს, რადგან მას ხშირად აწუხებს ტრავმები და ამის გამო პაპუნაშვილი მოედანზე იშვიათად გამოდის.

წლევანდელ სეზონში მის ანგარიშზე მხოლოდ 2 გატანილი გოლია.

ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სარაგოსას რუსული გუნდებისგან აქვს შეთავაზებები, მაგრამ თვითონ პაპუნაშვილს რუსეთში არ სურს კარიერის გაგრძელება. გიორგის ბედი, სავარაუდოდ, უახლოეს თვეებში გადაწყდება და მისი მომდევნო კლუბის ვინაობაც ცნობილი გახდება.

ჯეიმს მილნერი: „მანჩესტერული დერბის ყურებას არ ვაპირებ და ტელეფონსაც გამოვრთავ“

ლივერპულის ნახევარმცველმა ჯეიმს მილნერმა საკმაოდ უცნაური განცხადება გააკეთა და თქვა, რომ არ აპირებს მანჩესტერული დერბისთვის თვალის დევნებას.

მილნერმა ეს იმით ახსნა, რომ ლივერპული საკუთარ მატჩებზე უნდა იყოს კონცენტრირებული.

– სიმართლე გითხრათ, ამ მატჩის ყურებას არ ვაპირებ, თუმცა ცხოვრებაში პირველად ვიქნები მანჩესტერ იუნაიტედის მხარეს. არ მინდა, სხვის თამაშებზე ვინერვიულო, ამიტომ ტელეფონსაც გამოვრთავ, რომ შეხვედრის შესახებ რამე შეტყობინება არ მივიღო. იუნაიტედისა და სიტის დაპირისპირება 24 აპრილს, 23.00 საათზე დაიწყება.

ბარსელონა არტურო ვიდალთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს

ბარსელონა ჩილელ ნახევარმცველ არტურო ვიდალთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს, რადგან ბოლო პერიოდში გუნდის ხელმძღვანელობა მისი თამაშით კმაყოფილია. ვიდალი ბარსელონაში პირველ სეზონს ატარებს და თავიდან ის იშვიათად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში, თუმცა სეზონის მეორე ნახევარი მისთვის წარმატებული გამოდგა.

ვიდალთან ახალი კონტრაქტი, სავარაუდოდ, 2022 წლამდე იქნება და ჩილელმა ფეხბურთელმა ბარსელონაში დარჩენის სურვილი გამოთქვა.

სოლსკიაერი: „სიტისთან არაფრის დათმობას არ ვაპირებთ“

მანჩესტერ იუნაიტედის მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ევერტონთან მარცხის შემდეგ ძალიან მოტივირებულია და იუნაიტედის წინააღმდეგ არაფრის დათმობას არ აპირებს.

სოლსკიაერის აზრით, სიტისთან მატჩი იდეალური შანსია რეაბილიტაციისთვის:

– სიტის წინააღმდეგ ბოლომდე დავიხარჯებით და მას არაფერს დავუთმობთ. ვალდებულნი ვართ, გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაცია მოვახდინოთ და სიტისთან შეხვედრა ამის იდეალური შანსია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. სპორტული რადიო საქართველოში; 2. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 3. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 4. აშშ-ში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 5. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად რაჭაში; 8. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 9. პატიმრობა განსაკუთრებით მკაცრ პირობებში; 10. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 12. ებრაელთა ახალი წლის სახელწოდება; 13. იორდანიის დედაქალაქი; 15. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი.

თარაზულად: 1. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 6. კამერული მუსიკის ჟანრი; 7. რადიოაქტივობის საზომი ერთეული; 10. ღუთერანული ეკლესია; 11. მოქანდაკის ხის საჭრისი; 13. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 14. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 16. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. მდინარე ისრაელსა და პალესტინაში; 18. ქალაქური სიმღერების შემსრულებელი ქართველი მომღერალი ქალი.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა